

# Wir neu A2. 2

Grundkurs Deutsch für junge Lernende

მასწავლებლის წიგნი

VIII კლასი

გრიფინიჭებული საქართველოს განათლების,  
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის  
სამინისტროს მიერ 2020 წელს.



სულაკაურის  
ბაზილიკა

# Wir neu A2.2

## Grundkurs Deutsch für junge Lernende

### Lehrerhandbuch

© Für diese Lizenzausgabe: Sulakauri Publishing, Tbilisi, Georgia, 2020

Für die internationale Ausgabe © 2014 Ernst Klett Sprachen GmbH, Stuttgart, Bundesrepublik Deutschland.

Italienische Erstausgabe erschienen unter dem Titel „Wir“ bei © Loescher Editore S.r.l., Turin. Autor: Giorgio Motta.

Bearbeitung: Eva-Maria Jenkins-Krumm, Wien; Julia Thurnher, Wien  
Redaktion: Eva-Maria Jenkins-Krumm, Wien; Coleen Clement, Berlin  
Illustrationen: Agge Schlag, Köln

**გერმანული ენა VIII**  
**მასწავლებლის წიგნი**

წინასიტყვაობის ავტორები: შორენა კვანჭიანი, ნინო გიორგანაშვილი

© სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2020

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“  
აღმაშენებლის 150, თბილისი 0112  
ტელ.: 2910954, 2911165  
ელფოსტა: [info@sulakauri.ge](mailto:info@sulakauri.ge)

ISBN 978-9941-30-610-5

[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)

# სარჩევნი

სახელმძღვანელოს კონცეფცია შესავალი	5
სახელმძღვანელოს აღწერა	6
დიდაქტიკური საფუძვლები	10
სახელმძღვანელოს ძირითადი პრინციპები და ხარისხის მახასიათებლები	16
გაკვეთილის გეგმის ნიმუში	18
მეთოდური რჩევები	24
მასალის განაწილების გეგმა	25
ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან – მეორე უცხოური ენა, საბაზო საფეხურის სტანდარტი	30

## Wir neu A2.2

### Grundkurs Deutsch für junge Lernende

Modul 1			
Lektion 1	Seite		
Didaktische Hinweise	54		
Lösungen und Hörtexte Kursbuch	56		
Lösungen und Hörtexte Arbeitsbuch	58		
Test	60		
Lektion 2			
Didaktische Hinweise	61		
Lösungen und Hörtexte Kursbuch	63		
Lösungen und Hörtexte Arbeitsbuch	65		
Test	67		
Modul 1: Wir trainieren: Hörtexte und Lösungen, Sprechkarten			68
Modul 1: Abschlusstest	72	Lösungen zu den Tests von Modul 1	73
Modul 2			
Lektion 1	Seite	Lektion 3	Seite
Didaktische Hinweise	74	Didaktische Hinweise	87
Lösungen und Hörtexte Kursbuch	76	Lösungen und Hörtexte Kursbuch	90
Lösungen und Hörtexte Arbeitsbuch	77	Lösungen und Hörtexte Arbeitsbuch	92
Test	79	Test	94
Lektion 2			
Didaktische Hinweise	80		
Lösungen und Hörtexte Kursbuch	82		
Lösungen und Hörtexte Arbeitsbuch	84		
Test	86		
Modul 2: Wir trainieren: Hörtexte und Lösungen, Sprechkarten			95
Modul 2: Abschlusstest	99	Lösungen zu den Tests von Modul 2	100

# სახელმძღვანელოს კონცეფცია

## შესავალი

საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ საბაზო საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული მეორე უცხოური ენის სტანდარტის მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულები (VII – IX კლასები) უნდა ფლობდნენ გერმანულ ენას A2 დონეზე. A2 დონე იყოფა ორ ქვედონედ A2.1 და A2.2.

	პირველი უცხოური ენა		მეორე უცხოური ენა	
	მოსმენა და კითხვა	წერა და ლაპარაკი	მოსმენა და კითხვა	წერა და ლაპარაკი
I-IV კლასების სტანდარტი	A1.1	A1.1		
V-VI კლასების სტანდარტი	A2.2.	A2.1	A1.2.	A1.2
VII – IX კლასების სტანდარტი	B1.1	A2.2	A2.2	A2.1.

(იხ. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024; მეორე უცხოური ენა, საბაზო საფეხურის სტანდარტი)

VII–X კლასების სტანდარტების ცხრილის მიხედვით რეცეფციული (კითხვა და მოსმენა) და პროდუციული უნარები (ლაპარაკი და წერა) ერთმანეთისაგან გამიჯნულია; ამ უნარებში მისაღწევი მიზნები ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ რეპროდუციული უნარების განვითარება შედარებით ნელა მიმდინარეობს და, როგორც წესი, მას წინ უსწრებს რეცეფციული უნარების განვითარება.

წინამდებარე სახელმძღვანელო Deutsch A2.2 განკუთვნილია VIII კლასისთვის და წარმოადგენს VII კლასის სახელმძღვანელოს (A2.1) გაგრძელებას. ეს სახელმძღვანელო თავისი გრამატიკული და ლექსიკური მასალით ამთავრებს მოზარდების A2 დონეს (A2 für Jungedliche) და იძლევა სასერტიფიკატო გამოცდების ჩაბარებისათვის ისეთ შინაარსობრივ ცოდნას, როგორებიცაა: Jugend-Prüfungen des Goethe-Instituts Fit in Deutsch 2 ან Österreichisches Sprachdiplom Kid 2. ამასთან, იგი შეიცავს სასერტიფიკატო გამოცდებისათვის მოსამზადებელ მასალებს, რაც ინტეგრირებულია მეორე მოდულის ბოლო თავში. A2 დონის გაღრმავება და ზემოაღნიშნული გამოცდებისათვის უფრო საფუძვლიანი მომზადება გრძელდება IX კლასის პროგრამაში.






## სახელმძღვანელოს აღწერა

სახელმძღვანელო მოიცავს 2 მოდულს, ისევე როგორც წინა ყველა კლასის (V-VII) სახელმძღვანელოები. პირველი მოდული შედგება 2 თავისგან, ხოლო მეორე მოდული – 3 თავისაგან. საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით, A2 დონის მისაღწევად საჭიროა დაახლოებით 120-150 აკ.საათი, ხოლო თითოეული ქვედონისთვის – დაახლოებით 75 აკ. საათი.

მოქმედი საათობრივი ბადის მიხედვით, მეორე უცხოურ ენას VIII კლასში ეთმობა კვირაში 2 აკ. საათი (იხ. საათობრივი ბადე 2018 წლის სექტემბრიდან, თავი X), ხოლო სასწავლო წლის კალენდარი II-IX კლასებისთვის არ არის 35 კვირაზე ნაკლები. წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული სასწავლო მასალა განერილია 60 აკ. საათზე (იხ. მასალის განაწილების გეგმა, გვ. 25-29). აკადემიური კვირებისა და აკადემიური საათების გათვალისწინებით, ერთ სასწავლო წელიწადში მიიღება დაახლოებით 70 აკ. საათი (35x2). ამ თვალსაზრისით, ეს სახელმძღვანელო კარგად ერგება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ სტანდარტს და A2.2-ის გავლა შესაძლებელია ერთ სასწავლო წელში.

წინამდებარე სახელმძღვანელო Deutsch A2.2 განკუთვნილია 12-15 წლის მოზარდებისათვის. აქაც, ისევე როგორც წინა კლასების სახელმძღვანელოში, გათვალისწინებულია მოზარდების ასაკობრივი ინტერესები და ორივე მოდულში წარმოდგენილი თავების თემატიკა სრულ თანხვედრაშია ასაკთან.

თანდართულ საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოების ცხრილში მოცემულია A1 და A2 დონეების აღწერილობა. ცხრილში აღწერილია მისაღწევი შედეგები შემდეგ უნარებში: გაგება, ლაპარაკი და წერა.

საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო			
		A1 საწყისი საფეხური	A2 საწყისი საფეხური
გაგება	 <b>მოსმენა</b>	იმ შემთხვევაში, თუ საუბარი გარკვევით და ნელი ტემპით მიმდინარეობს, შემიძლება სიტყვების და მარტივი წინადადებების გაგება, რომლებიც მეხება მე, ჩემს ოჯახს ან ჩემ გარშემო არსებულ კონკრეტულ საგნებს.	შემიძლია ცალკეული და ხშირად ხმარებული სიტყვების გაგება, თუ ჩემთვის მნიშვნელოვან თემებზე საუბარი (მაგ. ძალიან მარტივი ინფორმაცია პიროვნებასა და ოჯახის, საყიდლების, სამსახურის შესახებ). მესმის მოკლე, მკაფიო და მარტივი შეტყობინებებისა და გამოცხადებების ძირითადი არსი.
	 <b>კითხვა</b>	შემიძლია აზრებზე, პლაკატებზე ან კატალოგებში მოცემული ცალკეული არსებითი სახელების, სიტყვებისა და მარტივი წინადადებების გაგება.	შემიძლია მოკლე, მარტივი ტექსტების კითხვა და ყოფით ტექსტებში (მაგ. განცხადებები, სარეკლამო ფურცლები, მენიუები ან სამგზავრო განრიგები) კონკრეტული, თვალისაყვამი ინფორმაციის მოძებნა და მოკლე, მარტივი პირადი წერილების გაგება.
ლაპარაკი	 <b>დიალოგური მეტყველება</b>	შემიძლია იმ საუბარში მივიღო მონაწილეობა, როდესაც ჩემი პარტნიორი მზად არის წელა და გარკვევით ისაუბროს; უფრო ზუსტად, დამეხმაროს იმის ფორმულირებაში, რის თქმაც მინდა. შემიძლია მარტივი შეკითხვების დასმა და ჩემთვის ნაცნობ თემაზე შეკითხვებზე პასუხი.	შემიძლია მარტივ სიტუაციებში მოსაუბროს გაგება, ინფორმაციის პირდაპირი გაცვლა და ნაცნობ თემაზე საუბარი. შემიძლია მარტივი საუბრის თვითონ წარმართვა, თუმცა, შესაძლოა, საუბარში ყველაფერი ვერ გავიყო და ყველა საკითხზე ვერ ვისაუბრო.
	 <b>მონოლოგური მეტყველება</b>	შემიძლია ჩემთვის ნაცნობი პიროვნებებისა და ჩემი სახლის აღწერა მარტივი გამოთქმებისა და წინადადებების გამოყენებით.	შემიძლია მთელი რიგი წინადადებებით, მაგალითად, ჩემი ოჯახის, სხვა ადამიანების, ჩემი საცხოვრებლის, განათლების და დღევანდელი ან ბოლოდროინდელი საქმიანობის აღწერა.
წერა	 <b>წერა</b>	შემიძლია მოკლე და მარტივი ღია ბარათის დაწერა საკურორტო ადგილიდან. შემიძლია ფორმულარებში ისეთი მარტივი მონაცემების შეტანა, როგორებიცაა სახელი და გვარი, მისამართი, ეროვნება და სხვა.	შემიძლია მოკლე, მარტივი ჩანაწერების და შეტყობინებების დაწერა; ძალიან მარტივი პირადი წერილის დაწერა, მაგალითად მადლობის გადახდა.

## სახელმძღვანელოში გამოყენებული თემატიკა

**პირველი მოდული (Modul 1: krank, gesund, ungesund)** VII კლასის სახელმძღვანელოს ლოგიკური გაგრძელებაა, რომელიც ჯანმრთელობის თემას ასრულებს. ამ მოდულის ორივე თავი:

Lektion 1: Gesund leben (ჯანსაღი ცხოვრება)

Lektion 2: Tina hat sich wehgetan (თინამ იტკინა)

შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით VIII კლასისათვის გათვალისწინებულ შემდეგ თემებს: ავად გახდომა, ექიმი, ჯანსაღი კვება. ეროვნული სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის თემატურ ჩარჩოში შეტანილია: პროფესიები (მეხანძრე, ექიმი, მზარეული და ა.შ.), მოვლენა (ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა და ა.შ.), მოქმედება (მერია, სპორტული, გასართობი აქტივობები და ა.შ.). ამგვარად, პირველი მოდული სრულიად შეესაბამება სტანდარტის თემატურ ჩარჩოს (იხ. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, საბაზო საფეხურის თემატური ჩარჩო).

აღსანიშნავია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დასაშვებია თემების შეცვლა და თემების საბაზო საფეხურის ერთი კლასის პროგრამიდან მეორეში გადასაცვლება. თემების ჩამონათვალი თითოეული კლასისთვის სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. კერძოდ, „საბაზო საფეხურის სამივე კლასის სასწავლო თემები მთლიანობაში უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტის თემატურ ჩარჩოს“ (იხ. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, გერმანული ენა, საბაზო საფეხურის თემატური ჩარჩო).

**მეორე მოდული (Modul 2: Mein Stadtviertel, meine vier Wände)** შედგება სამი თავისაგან:

Lektion 1: Wo ist denn hier? (სად არის აქ...?)

Lektion 2: Hast du Lust ins Kino zu gehen? (გინდა კინოში წასვლა?)

Lektion 3: Ordnung muss sein (წესრიგი აუცილებელია!)

მეორე მოდულში მოცემული თემები – საცხოვრებელი ადგილი, ქალაქი, სოფელი, გართობა, თეატრში წასვლა და ა. შ. – ასევე თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (იხ. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, გერმანული ენა, საბაზო საფეხური, საბაზო საფეხურის თემატური ჩარჩო).

მეორე მოდულის მესამე თავი კი საბაზო საფეხურის თემატურ ჩარჩოში შეესაბამება ინდივიდის ისეთი აქტივობის სფეროს, როგორებიცაა ყოველდღიური ყოფითი საქმიანობები და საგანმანათლებლო სფერო, ვინაიდან ამ თავში მოცემულია ქვეთემები: წესრიგი ბინაში და საკლასო ოთახში. აქვე განიხილება ავეჯი და ოთახის მოწყობა (იხ. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, საბაზო საფეხურის თემატური ჩარჩო).

ისევე, როგორც წინა კლასებში, VIII კლასის სახელმძღვანელოშიც მეტყველების უნარის გასავითარებელი სავარჯიშოების უმეტესობა გათვლილია წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობაზე. ლექსიკური და გრამატიკული სავარჯიშოები თამაშის ხასიათს ატარებს, რაც მოზარდებში ლაპარაკის უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს (იხ. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, გერმანული ენა, საბაზო საფეხური, ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები).

Deutsch A2.2-ის მიზანია გერმანულ ენაზე როგორც წერილობითი, ასევე ზეპირმეტყველებითი კომუნიკაციის განვითარება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წიგნი მოზარდებს სთავაზობს მათი ასაკისთვის შესაფერის თემებს, რაც გაკვეთილზე იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სასწავლო მასალის შინაარსი თავიანთ თავზე გადაიტანონ (ე.წ. Transferphase) და მასალა უფრო ადვილად ათვისონ / დაიმასოვრონ.

მოსწავლის წიგნში მოცემული სავარჯიშოები, ძირითადად, ორიენტირებულია ქმედებაზე, მაგრამ ისეა აგებული, რომ დამატებით ბევრ რესურსს არ მოითხოვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეებს არ გაუჭირდება მათი გამოყენება და ადვილად მოახერხებს გაკვეთილის გამდიდრებას მოსწავლისათვის

სახალისო და ადვილად გასაგები აქტივობებით; ხოლო მოსწავლის რვეულის სავარჯიშოები სრულად შეესაბამება მოსწავლის წიგნში ახსნილ მასალას.

ქვემოთ გაეცნობით სახელმძღვანელოს ძირითად კომპონენტებსა და მის დიდაქტიკურ საფუძვლებს. ასევე გთავაზობთ რამდენიმე მეთოდურ რჩევას, რაც გაკვეთილის დაგეგმვაში დაგეხმარებათ.

## სახელმძღვანელოს ძირითადი კომპონენტები

### მოსწავლის წიგნი კლასში სამუშაოდ

- დიალოგები, მოსასმენი და საკითხავი ტექსტები;
- ოთხი უნარ-ჩვევის (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა) განვითარება;
- მრავალფეროვანი დავალებები, რომლებიც ემსახურება საკომუნიკაციო მიზნებს;
- მრავალფეროვანი გრამატიკული სავარჯიშოები;
- დავალებები წარმოთქმაში სავარჯიშოდ;
- დავალებები ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად;
- სურათები, რომლებიც ემსახურება საკომუნიკაციო მიზნებს;
- სიმღერები;
- რუბრიკა „შენ შეგიძლია“;
- ინფორმაცია ქვეყნების შესახებ.

### მოსწავლის რვეული ცოდნის გასაღრმავებლად და საშინაო დავალებებისთვის

- შესაბამისობა მოსწავლის წიგნთან;
- მრავალფეროვანი სავარჯიშოები გრამატიკული კონსტრუქციებისა და ლექსიკური მარაგის გასაღრმავებლად;
- ნასწავლი სიტყვებისა და სამეტყველო ფრაზების ჩამონათვალი ყოველი მოდულის ბოლოს.

### მასწავლებლის წიგნი

- მეთოდური რჩევები მასწავლებლებისთვის;
- მოსწავლის წიგნსა და რვეულში მოცემული მოსასმენი მასალის ტრანსკრიპციები და პასუხები;
- ტექსტების ტრანსკრიპციები და პასუხები;
- ბარათები ზეპირი სავარჯიშოებისათვის;
- ყოველი მოდულის შემაჯამებელი ტესტები და მათი პასუხები.

### მოსწავლის წიგნის აუდიოდისკი:

- ინტერვიუები;
- დიალოგები;
- სიმღერები;
- სხვადასხვა ტიპის სავარჯიშო სიტყვის სწორად წარმოთქმაში.

### ონლაინ დავალებები:

- სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოები გავლილი გრამატიკული კონსტრუქციებისა და ლექსიკის განსამტკიცებლად;
- საშინაო დავალებები;
- დავალებები ისეთი ჯგუფებისთვის, რომლებსაც ინტერნეტში მუშაობა შეუძლიათ.

# დიდაქტიკური საფუძვლები

## მოსწავლის წიგნი

მოსწავლის წიგნი:

**მოდული 1: ავად, ჯანმრთელად ყოფნა (Krank, gesund, ungesund)**

- თავი 1: ჯანსაღი ცხოვრება (Gesund leben)
- თავი 2: თინამ იტკინა (Tina hat sich wehgetan)

**მოდული 2: ჩემი უბანი, ჩემი საცხოვრებელი (Mein Stadtviertel, meine vier Wände)**

- თავი 1: სად არის აქ ... ? (Wo ist denn hier ... ?)
- თავი 2: გინდა კინოში წასვლა? (Hast du Lust, ins Kino zu gehen ?)
- თავი 3: წესრიგი აუცილებელია! (Ordnung muss sein!)

ზეპირმეტყველებითი კომუნიკაციის განვითარება ყველა დონეზე Deutsch A2.2-ის ძირითადი მახასიათებელია. სახელმძღვანელო მიზნად ისახავს არა მხოლოდ სამეტყველო უნარ-ჩვევების განვითარებას, არამედ განსხვავებული კულტურული კონტექსტების გაგებასა და პატივისცემას.

Deutsch A2.2 გვთავაზობს როგორც პრაგმატულ, ასევე ადაპტირებულ ტექსტებს: ინტერვიუს, ელექტრონულ წერილს, რეცეპტს, კალორიების ცხრილს, ქალაქის გეგმას თუ საინფორმაციო ტიპის ტექსტებს, რაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, ამოიცნონ უცხო კულტურის თავისებურებები და პარალელები გაავლონ თავიანთ კულტურულ გარემოსთან.

როგორც ეროვნულ სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, უცხოური ენის შესწავლა უცხო სამყაროში შესვლასა და განსხვავებული წესების, ტრადიციების აღმოჩენასა და განსხვავებული ღირებულებებისა თუ მენტალობების გაგებას ნიშნავს. ეს სახელმძღვანელო თავისი კონცეფციით სრულიად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. სახელმძღვანელოში მოცემული აქტივობები მოსწავლეებს საშუალებას მისცემს გააცნობიერონ, კულტურული მრავალფეროვნება და ისწავლონ როგორც თავიანთი, ასევე უცხო კულტურის დაფასება.

V კლასიდან მოყოლებული, მოკლე სიუჟეტები აუგსბურგელი ვაიგელების ოჯახის (შტეფანი, თინა და მათი მშობლები – რენატე და პეტერი) ცხოვრებიდან აქაც მთელ წიგნს თან გასდევს და მოსწავლეებს წარმოდგენას უქმნის გერმანელების ცხოვრებაზე; საშუალებას აძლევს, აღმოაჩინონ განსხვავებული წესები და ტრადიციები, რათა თანდათან განსაზღვრონ სოციოკულტურული თავისებურებები. მოსწავლეებს უცხოური ენისა და კულტურის გაცნობის პროცესში უნდა ჩამოუყალიბდეთ მკვიდრი წარმოდგენები და ეს საერთო უნდა იყოს ყველა თემისათვის (იხ. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, გერმანული ენა, საბაზო საფეხური, სოციოკულტურული თავისებურება).



დავალეების უმრავლესობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გათვლილია წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობაზე, რაც ხელს უწყობს ენის აქტიურად გამოყენებას. ამასთან, მოცემულია უამრავი თამაში, რაც ლექსიკური მარაგის ათვისებასა და გრამატიკული სტრუქტურების დაუფლებას უწყობს ხელს. წყვილებში და ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობა ავითარებს ისეთ გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს, როგორებიცაა: თანამშრომლობა, ცოდნის გაზიარება, პრობლემების ერთობლივად გადაჭრა. ამ ასპექტშიც ეს სახელმძღვანელო შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმას, რომლის მიხედვითაც, საგნობრივი შედეგების გარდა, შეფასების სამიზნედ უნდა იქცეს სხვადასხვა გამჭოლი უნარები და ღირებულებები: პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა, ეტიკა და ა.შ. (იხ. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, მეორე უცხოური ენა, საბაზო საფეხურის სტანდარტი, გამჭოლი უნარები და ღირებულებები).

**1. თითოეული მოდული მოიცავს შემდეგ რუბრიკებს:**

- **შენ სწავლობ (Du lernst...)** ყოველი მოდულის დასაწყისში მოცემული საკომუნიკაციო მიზნები შესაბამისი მოდულის თავებში უნდა იქნეს მიღწეული.
- **ჩვენ ვვარჯიშობთ (Wir trainieren)** ყოველი მოდულის ბოლოს მოცემული განვლილი მასალის გამეორება მოსმენის, კითხვის, ლაპარაკისა და წერის მიზანმიმართულ ვარჯიშს ემსახურება, რაც მოსწავლეებს, ერთი მხრივ, აძლევს წარმატებული კომუნიკაციის საშუალებას, და მეორე მხრივ, ამზადებს A2 დონის გამოცდისთვის.

**2. ენობრივი კონსტრუქციები**

- თითოეულ თავში ენობრივი კონსტრუქციები შეისწავლება ეტაპობრივად. ცხრილში მოყვანილი რუბრიკები მეორდება ყოველ თავში:

საკომუნიკაციო სიტუაცია	სურათი დიალოგური სიტუაციით
სამეტყველო ბლოკი	გამოყენებული ენობრივი სტრუქტურების გააზრება
გრამატიკის ყუთი	გრამატიკული კონსტრუქციების წარმოსაჩენად
ჩვენ ვმღერით	ლექსიკა და გრამატიკა სიმღერაში
ლექსიკის განმტკიცება	სავარჯიშოები მოცემული თავის ლექსიკაზე დაყრდნობით
წარმოთქმა	წარმოთქმაში კომპლექსურად ვარჯიში
შენ შეგიძლია	ნასწავლი მასალის გამოყენება

### 3. უნარ-ჩვევები

სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენობრივი ქმედების ოთხივე ძირითადი კომპეტენციის (ლაპარაკი, წერა, მოსმენა და კითხვა) განვითარებას. თითოეული კომპეტენციისათვის მოსწავლეებს თავიდანვე მიეწოდებათ სათანადო სტრატეგიები, რომლებზე დაყრდნობითაც მათ უადვილდებათ ტექსტის გაგება, მოსმენა, ლაპარაკი და წერა.

**მიმართულება – ზეპირი მეტყველება (მოსმენა და ლაპარაკი):** გამოიყენება ისეთი ტიპისა და შინაარსის ტექსტები, რომლებიც სირთულით მთლიანად შეესაბამება ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიერ მოთხოვნილ დონეს. მოსმენისა და ლაპარაკის უნარების განვითარებას სახელმძღვანელოში ხელს უწყობს ის ფაქტორიც, რომ მოსწავლეებმა ერთი და იმავე შინაარსისა და ტიპის ტექსტებზე უნდა იმუშაონ.

**მოსმენა:** მოსასმენი ტექსტების დავალებებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს ამ ეტაპზე მოეთხოვებათ ტექსტების უფრო ამომწურავად გაგება და ენობრივი მოვლენების გაანალიზება. მოსასმენ ტექსტებს გაკვეთილზე სხვადასხვა ფუნქცია ეკისრება:

- დიალოგებითა და სხვა სავარჯიშოებით მიეწოდებათ ენობრივი ნიმუშები და ფრაზები, რომლებიც მოსწავლეებს საკომუნიკაციო მიზნების დაძლევაში ეხმარება.
- სიმღერები და, ზოგადად, ჟღერადობა ხელს უწყობს აბსტრაქტულ სწავლებას, რადგან აუდიოინფორმაცია (ჟღერადობა და რითმი) ემოციურ კვალს ტოვებს, ეს კი უკეთ დამახსოვრებასა და შემდგომში სწრაფად გახსენებას აადვილებს.

**ლაპარაკი:** მრავალფეროვანია საკომუნიკაციო სიტუაციები, რომლებშიც მოსწავლე მონაწილეობს როგორც მსმენელი ან მოქმედი პირი. ის იწყებს ენობრივი მარაგის უფრო თავისუფლად გამოყენებას როგორც სიმულაციური, ისე რეალური კომუნიკაციის დროს.

- მოსწავლის ალაპარაკება სახელმძღვანელოს პრიორიტეტული ამოცანაა. თემაში ათვისებული გრამატიკული, ლექსიკური და სამეტყველო მოქმედებების გამოსაყენებლად, ასევე თემასთან დაკავშირებულ საუბრებსა და ინტერვიუებში მონაწილეობის მისაღებად Deutsch A2 არაერთ დავალებას გვთავაზობს.
- ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს დონეებზე დაყრდნობით, სახელმძღვანელო შემოიფარგლება A2 დონისთვის შესაბამისი საკომუნიკაციო მიზნებითა და სამეტყველო ინტენციებით. „Deutsch A2“-ში წარმოდგენილი თემები სავსებით პასუხობს VIII კლასისთვის შერჩეულ თემატიკას (ჯანსაღი ცხოვრება, ავადმყოფობა, ადგილები და ორიენტაცია ქალაქში, ოთახის/ბინის მოწყობა ...)

**მიმართულება – წერიტი მეტყველება (კითხვა და წერა):** აერთიანებს ამ აქტივობათა თანმხლებ სტრატეგიებს, რომლებიც მოსწავლეს გაუადვილებს საკომუნიკაციო მიზნების მიღწევას.

**კითხვა:** მოსწავლეებს მოეთხოვებათ სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის ტექსტების გაგება, რომლებიც სირთულით შეესაბამება სტანდარტით მოთხოვნილ დონეს. ტექსტები მოცულობითაც და რაოდენობითაც აღემატება წინა კლასების სახელმძღვანელოების ტექსტებს.

წასაკითხი ტექსტები სახელმძღვანელოში ისეა მიწოდებული, რომ მოსწავლეები დროთა განმავლობაში ეუფლებიან როგორც კითხვის ტექნიკას, ასევე წაკითხულის გაგება-გააზრებას. მათ საშუალება ეძლევათ თავად განასხვავონ კითხვის სამი სახე:

- გლობალური კითხვა: მიზანია ტექსტის შინაარსის ზოგადად გაგება;
- სელექტური კითხვა: მიზანია ცალკეული ინფორმაციის გაგება;
- დეტალურიკითხვა: მიზანია ტექსტის ამომწურავად გაგება.

ტიპიურ დავალებებს წარმოადგენს სავარაუდო პასუხებიდან სწორი პასუხის შემოხაზვა (Multiple Choice), ვარაუდების გადამოწმება (richtig/falsch), ტექსტის შესახებ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა.

**წერა:** წერილი კომუნიკაციის უნარის განსავითარებლად გამოიყენება კითხვისას დამუშავებული ტექსტებიც, რომლებითაც მოსწავლეს შეუძლია იხელმძღვანელოს ალწერილი თხრობითი ტექსტების შექმნისას, პირადი კორესპონდენციის წარმოებისას და სხვა. წერის სტრატეგიებისა და ახლად შექმნილი ლექსიკურ-გრამატიკული ცოდნის გამოსაყენებლად და მცირე ზომის ტექსტების შესათხზავად სახელმძღვანელოში სხვადასხვა ტიპის დავალებები და სავარჯიშოებია მოცემული.

#### 4. გრამატიკა

ამ სახელმძღვანელოში გრამატიკული თავისებურებებისა და კონსტრუქციების სისტემატიზაცია სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოებით ხდება, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს, დააკვირდეს, ამოიცნოს, გაიაზროს და კონტექსტში გამოიყენოს გრამატიკული კონსტრუქციები.

გრამატიკული პროგრესია მოცემული თემების ფარგლებში მოსწავლეების საკომუნიკაციო მოთხოვნებს შეესაბამება. ასათვისებელ ენობრივ მასალაზე აგებული ტექსტების მეშვეობით, გრამატიკული მასალა მოსწავლეს მიეწოდება სახალისო, ადვილად გასაგები ზეპირი თუ წერილობითი საკომუნიკაციო სიტუაციებით. რუბრიკა „გრამატიკის ყუთი“ ხელს უწყობენ ნასწავლის სწორად გამოყენებას.

გრამატიკის სისტემატიზაცია ენის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გრამატიკისთვის გამოყოფილ ნაწილში, სადაც ჯამდება მოდულის გრამატიკული მასალა. მოსწავლეს საშუალება ეძლევა, ამოიცნოს გრამატიკული თავისებურებები (Ergänze die Regel) და შეადაროს ისინი მშობლიურ ენას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ენობრივ თავისებურებებზე ყურადღების გამახვილებას (language awareness). ამასთან, გავლილ თემატურ მასალაზე აგებული გრამატიკული სავარჯიშოებით მონმდება, სწორად გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა გრამატიკული სტრუქტურები და შეუძლიათ თუ არა მათი გამოყენება.

ყოველი მოდულის ბოლოს მოცემული გრამატიკული ნაწილი არ უნდა დამუშავდეს განყენებულად. სასურველია მისი ჩართვა თავზე მუშაობის პროცესში. მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებას ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ მათ შეუძლიათ შედეგების პერიოდულად შემოწმება მოცემული პასუხების მეშვეობით. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ ყოველი მოდულის ბოლოს მოცემული ტესტების „Teste dein Deutsch“ შემოწმება ინდივიდუალურად ან მენყვილესთან ერთად.

Deutsch A2 დონის გავლის შემდეგ მოსწავლეებს შეეძლება საკომუნიკაციო სიტუაციებში ქვემოთ მოცემული გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება:

- პირის ნაცვალსახელები (Dativ);
- კითხვითი სიტყვები (wer?, wen?, wem?);
- მოდალური ზმნა (dürfen);
- მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (weil-Sätze);
- ბრძანებითი კილო;
- წარსული დრო;
- დროისა და ადგილის გარემოების განმსაზღვრელი წინდებულები;

- წინდებულები (Dativ und Akkusativ);
- ზმნები (stellen-stehen, legen-liegen, ....) + ადგილის გარემოება;
- წინდებული auf
- წინდებული zu + Dativ
- Infinitivsatz + zu

ეს გრამატიკული მასალა სრულ თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (იხ. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, მეორე უცხოური ენა, საბაზო საფეხურის: გრამატიკა).

## მოსწავლის რვეული

მოსწავლის რვეულში მოცემული სავარჯიშოები ემსახურება მოსწავლის წიგნის შესაბამის თავში გავლილი მასალის გამეორებასა და ნასწავლის განმტკიცებას. მოსწავლის რვეული ასევე შეიცავს სავარჯიშოებს სასაუბრო თემის შესაბამის ნასწავლი ლექსიკის გამოსაყენებლად.

მოსწავლის რვეულში მოცემულია საწერი და მოსასმენი სავარჯიშოები. გარდა ამისა აქ ვხვდებით ისეთ სავარჯიშოებს, რომლებიც სალაპარაკო უნარ-ჩვევებს ავითარებს.

### AB S.5-6: Ü. 1, 2, 3

მოსწავლის წიგნში მოცემული ეს სიმბოლო სამუშაო რვეულში შესაბამის სავარჯიშოებზე მიუთითებს.

ყოველი მოდულის ბოლოს მოცემულია თემების მიხედვით დაჯგუფებული ახალი სიტყვები შესაბამისი მაგალითებით. არსებით სახელებთან მოცემულია მრავლობითი რიცხვი. მარცხენა მხარეს მოცემული რიცხვი მოსწავლის წიგნში სათანადო გვერდზე მიუთითებს. სიტყვების მარჯვნივ არის საწერი ხაზები, სადაც მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, უცხო სიტყვებს მშობლიურ ენაზე მიუწერონ მნიშვნელობები.

ყოველი თავის ბოლოს მოცემული რუბრიკა „ჩემი ახალი სიტყვები“ ლექსიკური მარაგის გამდიდრებას ემსახურება.

## მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნში მოცემული მეთოდური რჩევები მოსწავლის წიგნში თავებისა და სავარჯიშოების თანმიმდევრობას ემთხვევა. მოცემული რჩევები არაა სავალდებულო, ის სარეკომენდაციო ხასიათისაა. რჩევები მართალია, დაგეხმარებათ გაკვეთილის დაგეგმვაში, თუმცა საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მასალის ყველა კლასში ერთნაირად მიწოდება მიზანშეწონილი არ არის. ეცადეთ გაივალისწინოთ თქვენი მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებები და ინტერესების და მათ მოარგოთ მასწავლებლის წიგნში მოცემული რჩევები.

## სახელმძღვანელოს ძირითადი პრინციპები და ხარისხის მახასიათებლები

ზემოთ განვიხილეთ წიგნის ზოგადი კონცეფცია და ცალკეული კომპონენტები, ამ თავში კი შევეცდებით, უკეთ წარმოვაჩინოთ წიგნის ძირითადი პრინციპები და ხარისხის მახასიათებლები:

1. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, სახელმძღვანელოში მოცემული მასალა შეესაბამება სარეკომენდაციო საბჭოს მიერ დადგენილ ენის სტანდარტებს და მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, მიაღწიონ A2 დონეს.
2. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ სასწავლო საქმიანობის დამოუკიდებლად მართვა (სწავლის სწავლა). ამისათვის მათ უნდა შეეთავაზოთ თვითშეფასების სქემები, კითხვარები და ა.შ.

მოსწავლის წიგნის ყოველი თავის ბოლოს, რუბრიკაში „შენ შეგიძლია...“ (Du kannst...) მოცემული ცხრილები მოსწავლეებს ეხმარება თვითშეფასებაში. მათ შეეძლება თავიანთი ცოდნის შემოწმება განვლილი მასალის მიხედვით. რუბრიკით „შენ შეგიძლია...“ (Du kannst...) ეს სახელმძღვანელო აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნას.

სახელმძღვანელო ეფუძნება უცხო ენების სწავლების კვლევის შედეგებს და სწავლა-სწავლებისთვის გთავაზობთ უახლეს მეთოდებსა და სტრატეგიებს.

3. ენობრივი მარაგის თავისუფლად გამოყენებისთვის მოცემული სავარჯიშოები ითვალისწინებს შემდეგ პროგრესიას – გაგება, გამოყენება და ავტომატიზირება. წიგნში დიდი რაოდენობით ვხვდებით ზეპირი კომუნიკაციის წარმართვისათვის აუცილებელ რესურსებს (მაგ. მოდელები, წინადადებები, გამოთქმები).

*მოსწავლის წიგნი, გვერდი 17, სავარჯიშოები N 5, 6 (გვერდის ნუმერაცია ალბათ შესაბამისად შეიცვლება),*

ოთხი უნარ-ჩვევა: მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი და წერა:

- ისევე როგორც წინა კლასების სახელმძღვანელოებში, არც აქაა ერთმანეთისაგან გამიჯნული და მათი განვითარება ხდება ერთდროულად, რაც დიდაქტიკური თვალსაზრისით სრულიად გამართლებულია.
- ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული და მათი განვითარება ხდება თანავდროულად, რაც დიდაქტიკური თვალსაზრისით სრულიად გამართლებულია.

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, გრამატიკა ისწავლება ყოველთვის კონტექსტში და ემსახურება საკომუნიკაციო მიზნებს. ახალი ენობრივი სტრუქტურების პრეზენტაცია ხდება ყოველი თავის დასაწყისში დიალოგური სიტუაციებითა და შესაბამისი სურათებით, რაც მოსწავლეს უადვილებს როგორც ახალი ენობრივი სტრუქტურების, ასევე თითოეული თავის გაგებას. მხოლოდ ამის შემდეგაა მიზანშეწონილი სტრუქტურების გაცნობიერებულად ახსნა, რაც მრავალფეროვანი ზეპირი და წერილობითი სავარჯიშოებით მტკიცდება. ამგვარად, ბავშვებს დასაწყისიდანვე ეძლევათ სოლიდური ბაზა შემდგომი სწავლისათვის.

ცნობილია, რომ პირველ ეტაპზე სწავლების სტრატეგია რეპროდუცირებისკენ უნდა იყოს მიმართული. „რეპროდუცირება“ ნიშნავს სწორი წარმოთქმის ჩამოყალიბებას და ლექსიკური მარაგის გამდიდრებას/განმტკიცებას. რეპროდუცირებისთვის, როგორც წესი, გამოიყენება ლექსები, გათვლები (პატარებისათვის), სიმღერები, დიალოგები, სკეტჩები. ამ მხრივ Deutsch A2 მრავალფეროვანი სავარჯიშოებით გამოირჩევა. ყოველი თავის ბოლოს მოცემულია რუბრიკა



„ჩვენ ვმღერით...“ (Wir singen), სადაც ბავშვებს გრამატიკული და ლექსიკური მასალა კონტექსტში კიდევ ერთხელ, ოღონდ ამჯერად სიმღერით მიეწოდებათ.

*მოსწავლის წიგნი, გვერდი 23, რუბრიკა „Wir singen“ (გვერდის ნუმერაცია ალბათ შესაბამისად შეიცვლება)*

- სახელმძღვანელოში დიდი ყურადღება ეთმობა ფონეტიკას. ყოველი თავის ბოლოში მოცემულია რუბრიკა „წარმოთქმა“ (Aussprache), რომლითაც ფონეტიკის სავარჯიშოები თანამიმდევრულად და მუდმივად მიეწოდებათ მოსწავლეებს და რომლის მიხედვითაც წარმოთქმაში ვარჯიში ხდება დასაწყისიდანვე. ამასთან, მოსწავლის წიგნს მოჰყვება აუდიოდისკი, რომელიც მოიცავს როგორც მოსწავლის წიგნის, ასევე მოსწავლის რვეულის მოსასმენ სავარჯიშოებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსწავლეებს საშუალება აქვთ, შინაც მოუსმინონ გაკვეთილზე მოსმენილ სავარჯიშოებს ან დამოუკიდებლად გააკეთონ მოსწავლის რვეულში მოცემული სავარჯიშოები. ~
- წიგნი მოიცავს გერმანიაში ცხოვრების ამსახველ საინტერესო ასპექტებს, რითაც ხელს უწყობს მოსწავლეებში განსხვავებული კულტურული კონტექსტების გაგებას და პატივისცემას. მოსწავლეები ეცნობიან გერმანული სოციოკულტურული გარემოსთვის დამახასიათებელ ნიშნებსა და ნორმებს და ახდენენ სოციოკულტურული კონტექსტების შედარებას. სახელმძღვანელო ამ მხრივაც სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიმართულებას „ინტერკულტურა“.

# გაკვეთილის გეგმის ნიმუში

(ხანგრძლივობა 45 წუთი)

დრო	მიზანი	ფაზა	მოსწავლის აქტივობა	სოციალური ფორმა	მასალა	მასწავლებლის აქტივობა
8 წთ	მას შეუძლია გამოკითხოს სხვას გასული დღის აქტივობების შესახებ	დანწყება/ ვარჯიში	მოსწავლეები წინასწარ გამოადგებიან სამუშაო ფურცლით დადიან კლასში და ერთმანეთს უსვამენ შეკითხვებს. თუ პასუხი დადებითია, წერენ მოპასუხის სახელს შეკითხვის გასწვრივ, თუ პასუხი უარყოფითია, უსვამენ სხვას შეკითხვას.	სამუშაო ფორმა: Rasender Reporter	სამუშაო ფურცელი 1	მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს სამუშაო ფურცლებს და უხსნის დავალებას. ის თვითონაც იღებს მონაწილეობას აქტივობაში.
7 წთ	მას შეუძლია აღმოაჩინოს და გააანალიზოს წარსული დროის ფორმა	სემანტიზირება	მოსწავლეები სამუშაო ფურცელში მონიშნავენ წარსული დროის ფორმებს და შეუსაბამებენ მათ ზმნებს Infinitiv-ში.	ინდივიდუალურად	სამუშაო ფურცელი 2	მასწავლებელი არიგებს სამუშაო ფურცლებს და უხსნის დავალებას.
3 წთ	მას შეუძლია ივარაუდოს რას ეკითხება თინას მეგობარი და რას პასუხობს თინა.	დანწყება	მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს იმის შესახებ, რას შეიძლება ეკითხებოდეს თინას მეგობარი და რას პასუხობს თინა.	ფორუმი	სურათი ნიგნიდან, გვერდი 74 (ohne Sprechblasen)	მასწავლებელი არიგებს თინას და მისი მეგობრის სურათს და სთხოვს მოსწავლეებს გამოთქვან ვარაუდი, რას ეკითხება თინას მეგობარი და რას პასუხობს თინა. მასწავლებელი მიუთითებს პირველ სამუშაო ფურცელზე, რათა დაეხმაროს მოსწავლეებს პასუხის სწორად ჩამოყალიბებაში.
6 წთ	მას შეუძლია თქვას, რა შეემთხვა თინას.	პრეზენტაცია	მოსწავლეები ისმენენ თინას მონათხრობს. ისინი პასუხობენ შეკითხვას, თუ რა მოუვიდა თინას.	ინდივიდუალურად	ნიგნი, გვერდი 74: სავარჯიშო 2	მასწავლებელი უხსნის დავალებას და რთავს მოსასმენს.

7 ნთ.	მას შეუძლია სურათები შეუსაბამოს წინადადებაებს.	სემანტიზირება	მოსწავლეები კითხულობენ წინადადებას და უსაბამებენ მათ სურათებს. ისინი კიდევ ერთხელ ისმენენ თინას მონათხრობს, რათა გადაამოწონ შედეგები.	წყვილებში	ნიგნი, გვერდი 74: სავარჯიშო 3. დაჭრილი წინადადებები და სურათები.	მასწავლებელი ურიგებს წყვილებს დაჭრილ წინადადებასა და სურათებს და სთხოვს მათ, ერთმანეთს შეუსაბამონ ისინი. დასასრულს ის კიდევ ერთხელ ასმენინებს, რათა გადაამოწონ მოსწავლეებმა შედეგები.
8 ნთ.	მან იცის ფრაზები	სემანტიზირება	მოსწავლეები წინა დაგალების მეშვეობით უსაბამებენ ზმნებს მოცემულ არსებით სახელებს.	წყვილებში	სამუშაო ფურცელი 3	მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს სამუშაო ფურცელს და უხსნის დავალებას. დასასრულს მასწავლებელი კიდევ პასუხებს დაფაზე, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მისი გამოყენება შემდეგ აქტივობაში.
10 ნთ.	მას შეუძლია მოჰყვეს, რა გადახდა თინას.	ვარჯიში	მოსწავლეები დგებიან წრეში. ისინი ერთმანეთს ესვრიან პატარა ბურთს და ჰყვებიან, რაც გადახდა თინას.	ფორუმი	პატარა ბურთი	მასწავლებელი უხსნის დავალებას. შემდეგ იწყებს მოყოლას ერთი წინადადებით და ესვრის ბურთს ერთ-ერთ მოსწავლეს, რომელიც განაგრძობს თხრობას და ასე შემდეგ.
12 ნთ.	მას შეუძლია მოჰყვეს, თუ რა გადახდა მას.	ვარჯიში	მოსწავლეები მოცემული სამეტყველო ფრაზებისა და შეკითხვების მეშვეობით უყვებიან ჯგუფში ერთმანეთს, თუ რა გადახდათ მათ.	ჯგუფურად	სამუშაო ფურცელი	მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს სამუშაო ფურცლებს და უხსნის დავალებას.



## Arbeitsblatt 1: Rasender Reporter „Was hast du gestern gemacht?“

	ist im Park spazierengegangen.
	ist spät von der Schule zurückgekommen.
	hat sich am Arm wehgetan.
	ist zu Hause geblieben.
	hat ein Buch aus der Bibliothek geholt.
	hat einen Film gesehen.
	ist vom Fahrrad gestürzt.
	hat viele Hausaufgaben gemacht.

**Arbeitsblatt 2: Markiere die Verben auf dem Arbeitsblatt 1. Was gehört zusammen?**

INFINITIV	Perfekt
spaziergehen	
holen	
machen	
bleiben	
stürzen	
sehen	
wehtun	
zurückkommen	



### Arbeitsblatt 3: Was passt?

zurückkommen /wehtun /bremsen können /loshelfen/ holen/ stehenbleiben  
zusammenstoßen /machen

1	von der Schule	a
2	eine Radtour	b
3	das Fahrrad aus dem Keller	c
4	mit dem Fahrrad	d
5	auf dem Radweg	e
6	das Fahrrad nicht	f
7	mit dem Fußgänger	g
8	sich am rechten Arm	h

## **Arbeitsblatt 4: Meine Geschichte**

**Wann ist das passiert?**

**Wie ist das passiert?**

**Wo hast du dir weh getan?**

**Wer hat geholfen?**

**Das ist vor einer Woche/vor zwei Tagen/vor einem Jahr passiert.**

**Ich bin mit dem Fahrrad gefahren./ Ich bin zu Fuß gegangen.**

**Ich bin zu schnell gefahren/gegangen.**

**Ich bin gestürzt/hingefallen und habe mir am ... weh getan.**

## მეთოდური რჩევები

ყოველი გაკვეთილის ამოსავალი ნერტილი არის შეკითხვა გაკვეთილის თემის შესახებ, შემდეგ კი ხდება გაკვეთილის მიზნებისა და იმ კომპეტენციების განსაზღვრა, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ მოცემულ გაკვეთილზე.

გაკვეთილის მსვლელობის გეგმა, რომელიც გაკვეთილის მიზნებზეა ორიენტირებული, საშუალებას მოგცემთ, გააანალიზოთ თქვენი მეთოდური გადაწყვეტილებები და ზუსტად განსაზღვროთ გაკვეთილის მსვლელობის დრო.

### გაკვეთილის ფაზები და აგებულება

**Einstieg/Warm-up:** ეს ფაზა გულისხმობს მოსწავლეების შეყვანას გაკვეთილის თემაში და მიზნად ისახავს ფანტაზიის, ცნობისმოყვარეობისა და თემისადმი ინტერესის გაღვივებას.

**Aktivierung des Vorwissens:** ახალი თემის შემუშავებამდე სცადეთ არსებული ცოდნის გააქტიურება, მაგალითად, გაიმეორეთ წინა გაკვეთილის თემა.

**Erarbeitung und Sicherung:** ამ ფაზაში ხდება ახალი ცოდნისა და კომპეტენციების შექმნა, რის გამოც სასურველია, გაკვეთილის დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოთ მას. ეცადეთ, გამოიყენოთ მრავალფეროვანი სოციალური ფორმები და მეთოდები.

მიღწეული შედეგები ან ტრადიციულად დაფაზე შეაჯამეთ, ან მოსწავლეებს მიეცით საშუალება, თავად წარმოადგინონ შედეგები. მნიშვნელოვანია, რომ მიღწეული შედეგები წარმოადგინოს თითოეულმა მოსწავლემ.

**Anwendung des Gelernten und Transfer:** მიეცით მოსწავლეებს ახლად შექმნილი ცოდნისა და კომპეტენციების კონკრეტულ და რეალურ სიტუაციებში გამოყენების საშუალება. მხოლოდ კონკრეტული გამოყენებით შევძლებთ უცხოური ენის მთავარი კომპეტენციების განვითარებას. არასდროს გამოტოვოთ ეს ფაზა და დაუთმოთ მას სათანადო დრო.

**Stundenabschluss:** გაკვეთილის ლოგიკური დასასრული ასევე კარგი გაკვეთილის ნაწილია. ტრადიციულად, გაკვეთილი დავალებების მიცემით მთავრდება. ჩვენ კი გთავაზობთ საინტერესო ალტერნატივას, მაგალითად გაკვეთილის დასრულებას რეფლექსიით. თითოეულმა მოსწავლემ უნდა დაასახელოს ერთი ასპექტი, რომელიც მისთვის ყველაზე საინტერესო იყო და რომლის დამახსოვრებაც აუცილებლად სურს. სასურველია, ყოველი ასპექტი მხოლოდ ერთხელ დასახელდეს.

### ჩატარებული გაკვეთილის ანალიზი

ყოველი გაკვეთილის შემდეგ ეცადეთ, კრიტიკულად გააანალიზოთ ჩატარებული გაკვეთილი. მიაღწიეს მოსწავლეებმა თუ არა დასახულ მიზნებს? შეიძინეს თუ არა ახალი კომპეტენციები?

იფიქრეთ იმაზე, თუ რა გამოგივიდათ კარგად. რამდენად შეესაბამებოდა ჩატარებული გაკვეთილის მსვლელობა თქვენ მიერ შემუშავებულ გაკვეთილის გეგმას? იყო თუ არა სირთულეები ახალი მასალის შემუშავებისა თუ ვარჯიშის დროს? იყვნენ თუ არა მოსწავლეები აქტიურად ჩართული გაკვეთილის მსვლელობის პროცესში?

ეცადეთ, დასკვნების საფუძველზე დაგეგმოთ შემდეგი გაკვეთილი.

ნიმუშის სახით გთავაზობთ ერთ-ერთი თავის გაკვეთილის გეგმას (Modul 1, Lektion 2: Tina hat sich wehgetan).

**Modul 1: Krank, gesund, ungesund**  
**Lektion 1: Gesund leben**

UE	Seite KB	Seite AB	Sprachhandlung	Grammatik	Wortschatz	Textsorten	Phonetik	მუხლი 86
Was ist gesund/ ungesund?	1_4	6_9	75-83	über Gesundheit sprechen; gesunde Lebensmittel benennen können und mit ungesundem Lebensstil kontrastieren; um Erlaubnis bitten; jemandem etwas erlauben/verbieten	das Verb schaden + Dativ; das Modalverb dürfen	gesund/ungesund; Lebensmittel, Freizeitaktivitäten; benennen, was der Gesundheit schadet;	Test; Bilder/Listen; Info-Text: Peter Weigel lebt gefährlich! Minidialoge	იუცხ. საბ.4. იუცხ. საბ.5. იუცხ. საბ.12 იუცხ.საბ.1 იუცხ.საბ.6
Gesunde Ernährung	05_10	9_13	Warum-Fragen formulieren und eine Begründung angeben; Tagesmenü zusammenstellen; ein Rezept verstehen und schreiben; Ratschläge erteilen; Was kann man bei Übergewicht machen	Nebensatz mit weil	vegetarische Lebensmittel; Gründe für einen ungesunden Lebensstil	kurzer Info-Text zum Thema „Vegetarische Ernährung“; Listen; Kalorientabelle; Interview; Rezept: Kartoffelsalat; Leserbrief		
_ Wortschatz wiederholen! _ Aussprache! _ Du kannst .. _ Wir singen!	11	14_15				Lied: Was isst du, mein Kind?	Lange und kurze Vokale: o, u	

## Lektion 2: Tina hat sich weh getan

UE	Seite KB	Seite AB	Sprachhandlung	Grammatik	Wortschatz	Textsorten	Phonetik	მუხლი 86
Tina erzählt von ihrem Unfall	9-11	84-89	anhand von Bildern eine Geschichte erzählen/ rekonstruieren; im Perfekt Fragen stellen und diese beantworten	Perfekt (1): Partizip Perfekt von regelmäßigen und unregelmäßigen Verben (auch trennbare Verben); die Hilfsverben haben und sein	Verben: einen Unfall beschreiben	Bilder mit Beschreibungen zum Unfall; mündliche Erzählung		სუცხ.საბ.6 სუცხ.საბ.1 სუცხ.საბ.7 სუცხ.საბ.3 სუცხ.საბ.5 სუცხ.საბ.4
Vergangenes/ Was ist passiert?	15-19	18-21	über vergangene Erlebnisse und Erfahrungen berichten; fragen, wann etwas passiert ist und auf diese Fragen antworten	Temporalangaben: Temporaladverb und Temporalergänzung	Wie nimmt man ab? Temporalangaben; eine Krankheit beschreiben; Skunfall; Aktivitäten am Wochenende beschreiben	Kurzer info-Text; Kalender; Fragen und Antworten; Minidialoge; Brief; Bildergeschichte; Interviews		
_ Wortschatz wiederholen! _ Aussprache! _ Du kannst ... _ Wir singen	20	22-23				Erlebtes am Telefon erzählen; Lied: Der Unfall	lange und kurze Umlaute: ä, ö, ü	
Modul 1: Training hören / lesen	21-23	24-27	Werbespots verstehen; über Erlebtes berichten;			Werbespot; Gespräch; Anzeigen am schwarzen Brett; Leserbrief; Info-Text		
sprechen/ schreiben	28-29		eine E-Mail verstehen und beantworten; über eine Situation sprechen (Grund angeben); Fragen zum Thema Gesundheit stellen und beantworten			E-Mail; Sprechkarten		
Modul 1: Teste dein Deutsch! Test: Wortschatz und Grammatik	24	34						

## Modul 2: Mein Stadtviertel, meine vier Wände

### Lektion 3: Wo ist denn hier....?

	UE	Seite KB	Seite AB	Sprachhandlung	Grammatik	Wortschatz	Textsorten	Phonetik	მუხლი 86
Stadtviertel vorstellen	25-29	36-41	97-103	sagen, wo sich was in einer Stadt befindet, und fragen, wo sich ein Ort oder eine Person befindet; einen Stadtplan lesen können; einen Treffpunkt vereinbaren	Das Fragewort Wo? Lokal- Ergänzung: Präpositionen an, in, vor, hinter, neben + Dativ; die Verben stehen und sitzen; das Verb sich treffen; das Verb wissen	Orte und Plätze in der Stadt	Bilder zu Orten in der Stadt; Fragen und Antworten; einfacher Stadtplan (schematisch); Stadt-Quiz; Gespräche in der Stadt	Orte in einer Stadt mit Artikeln nachsprechen	იუცხ. საბ.3. იუცხ. საბ.6. იუცხ. საბ.11.
Einkaufen	30-34	41-43		über Einkäufe sprechen; nach Einkäufen fragen und sagen, wo man was kaufen kann	Festigung Präposition in + Dativ	Geschäfte und Waren	Kartenspiel; Listen		
Fußgängerzone	35-36	44		über eine Fußgängerzone berichten; Fußgängerzone beschreiben (Aktivitäten in einer Fußgängerzone)		Beschreibung einer Fußgängerzone: Menschen, Gebäude, Geschäfte, Aktivitäten	Info-Text über eine Fußgängerzone; Text; Plätze in der Stadt (AB)		
_ Wortschatz wiederholen! _ Aussprache! _ Du kannst ...	37	45						Wortakzent: Wörter mit ge-; ei; Wörter aus anderen Sprachen	



## Lektion 2: Hast du Lust ins Kino zu gehen?

	UE	Seite KB	Seite AB	Sprachhandlung	Grammatik	Wortschatz	Textsorten	Phonetik	მუხლი 86
Wohin gehen wir?	38-40	46-48	104 - 110	eine Person fragen, ob sie Lust/Zeit hat, etwas zusammen zu unternehmen, und darauf antworten; Vorschläge (für die Freizeit) machen und auf Vorschlägen reagieren	die Frage Wohin? Und Wo? Und die Lokal-Ergänzung mit in, auf + Dativ/Akkusativ; Infinitivsatz mit zu	deutsche Städte; Adresse; E-Mail-Adresse	Bild mit Sprechblasen; Reihentübungen; Einladung (AB); Minidialoge; Dialogpuzzle (AB)		იუცხ. საბ.2. იუცხ. საბ.6.
Orientierung in der Stadt	41-44	48-50		nach dem Weg fragen; die Richtung angeben; einen Weg beschreiben (zu Fuß und mit öffentlichen Verkehrsmitteln); sich in der Stadt orientieren	Lokal-Ergänzung/ Präposition zu + Dativ (zum, zur); die Präposition mit + Dativ	Richtungen; Straßen und Plätze benennen (auch Kreuzung, Ampel); öffentliche Verkehrsmittel	Bild mit Sprechblasen; Stadtplan; Dialoge in der Stadt; Schreibung (AB)	Dialoge zum Thema "Wegbeschreibung" nachsprechen	
_ Wortschatz wiederholen! _ Aussprache! _ Du kannst ...	45	51					Lied: Wohnst du vielleicht in München?	Zusammengesetzte Wörter: Betonung auf dem ersten Wort	

### Lektion 3: Die Ordnung muss sein!

UE	Seite KB	Seite AB	Sprachhandlung	Grammatik	Wortschatz	Textsorten	Phonetik	მუხლი 86
Zimmereinrichtung + Gegenstände	46-51	111-119	ein Haus beschreiben (Haus, Zimmer); Zimmer und Möbel benennen; eine Wohnung und Zimmer beschreiben (Adjektive, Ausstattung); Fragen und Antworten (auch negativ) zu Möbeln und Gegenständen im Haushalt	der bestimmte Artikel und seine Entsprechung als Personalpronomen; der bestimmte (und Pl.) und unbestimmte Artikel maskulin, feminin und neutral; das Fragewort was?: Was ist ..?; das Demonstrativ- pronomen das.: Das ist ...; Negation mit kein und nicht	Gegenstände (in einem Zimmer); Möbel	Bild mit Dialog (Mutter/Sohn); Fragen und Antworten; schriftl. Minidialoge AB); Beschreibung (AB)	Zimmer im Haus (+ der Garten) nachsprechen	ლუცხ.საბ.3 ლუცხ.საბ.5 ლუცხ.საბ.6 ლუცხ.საბ.8
Zimmer einrichten/ mein Zimmer – Wortschatz wiederholen!	52 - 55	56 - 60	fragen, wohin man ein Gegenstand legen soll und auf diese Frage antworten; ein Zimmer beschreiben	die Verben stellen, legen und hängen + Akkusativ; die Verben stehen, liegen und hängen + Dativ	Zimmereinrichtung; Möbel; Gegenstände und Lebensmittel; Tiere	Dialog; Plan von einem Zimmer; Info- Text: Mein Zimmer, Kreuzwörterrätsel (AB)		
– Intonation! – Du kannst ... – Wir singen ...	56	61				Lied: Wie sieht denn dein Zimmer aus?	Intonation: Aufforderungen+ Reaktionen darauf	
Modul 2: Training hören/lesen	57-59	62-65	Dialoge verstehen; Informationen einem Interview entnehmen; eine Anzeige analysieren; Bericht über Freizeitbeschäftigung von Jugendlichen verstehen			Dialoge zwischen Jugendlichen; Interview über Marbach; Zeitungsanzeige; Jugendzentrum; Leserbeiträge für eine Jugendzeitschrift		
sprechen/ schreiben	66-67		eine persönliche E-Mail verstehen und beantworten (persönliche Angaben und Stadtbeschreibung); über eine Situation sprechen; Fragen zum Thema „Orte/Dinge lokalisieren“ stellen und beantworten			E-Mail; Sprechkarten		
Test: Wortschatz und Grammatik	60	74						

## მეორე უცხოური ენა საბაზო საფეხურის სტანდარტი

### შესავალი

საბაზო საფეხურზე მეორე უცხოური ენის სტანდარტი შედგება ექვსი ნაწილებისაგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- დ) შეფასება;
- ე) ტერმინოლოგიური ლექსიკონი;
- ვ) დანართები - გრამატიკა (ფრანგული, გერმანული, რუსული).

საბაზო საფეხურზე უცხოური ენის შესწავლისას მოსწავლეები უცხოურ ენას ფუნქციურად გამოიყენებენ კომუნიკაციური მიზნებისა თუ სასწავლო საქმიანობათა განსახორციელებლად; დაეუფლებიან ენის სწავლის უნარებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პირველი და მეორე უცხოური ენების სტანდარტებისა და ევროსაბჭოს ენის ფლობის დონეების საორიენტაციო შესაბამისობა.

		პირველი უცხოური ენა		მეორე უცხოური ენა	
		მოსმენა და კითხვა	წერა და ლაპარაკი	მოსმენა და კითხვა	წერა და ლაპარაკი
I-IV სტანდარტი	კლასების	A1.1	A1.1		
V-VI სტანდარტი	კლასების	A2.2	A2.1	A1.2	A1.2
VII - IX სტანდარტი	კლასების	B1.1	A2.3	A2.2	A2.1

სასკოლო კონტექსტთან ადაპტირების მიზნით ეროვნულ სასწავლო გეგმაში A1, A2, B1 დონეები შემდეგ ქვესიმრავლეებადაა დაშლილი:



### ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

მეორე უცხოური ენის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- უცხოურ ენაზე სხვადასხვა ტიპის ზეპირი და წერილობითი ტექსტების გაგებისა და შექმნა-გაზიარების უნარების განვითარებას;

- უცხოური ენის გამოყენების უნარის განვითარებას პრაგმატული თუ საგანმანათლებლო მიზნების განსახორციელებლად;
- ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარის ჩამოყალიბებას;
- ენების ეფექტიანად სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევები;
- სასწავლო საქმიანობაში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარებას კონსტრუქციული თანამშრომლობის გზით.

ამ მიზნებზე მუშაობით მეორე უცხოური ენა თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

## **ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი**

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს მეორე უცხოურ ენაში. ეს შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

**ტექსტის მოსმენა/წაკითხვა და გაგება** - მოიცავს სტრატეგიებს, რომლებსაც უნდა დაეუფლოს მოსწავლე უცხოენოვანი ტექსტების გასაგებად სოციოკულტურული კონტექსტების თავისებურებათა გათვალისწინებით.

**წერა და ლაპარაკი** - გულისხმობს სტრატეგიებს, რომელთა საშუალებითაც უნდა შეძლოს მოსწავლემ უცხო ენაზე ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია.

**საქმიანობა უცხოური ენის გამოყენებით** - გულისხმობს სოციალურ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპის საქმიანობათა უცხოურ ენაზე განხორციელებას. იგი შეესაბამება ენების დიდაქტიკის ახალ პარადიგმას - მოქმედებაზე ორიენტირებულ მიდგომას (action-oriented approach).

**სტანდარტის შინაარსი** განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ჩარჩოების, საგნობრივი საკითხების სახით.

საბაზო საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ცნებები და ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები უნდა დამუშავდეს შინაარსიან კონტექსტებში. ეს კონტექსტები თემატური ჩარჩოს სახითაა განსაზღვრული. მასწავლებლის თუ ავტორის მიერ შერჩეული სასწავლო თემები საბაზო საფეხურის სამივე კლასისთვის უნდა გამომდინარეობდეს სტანდარტის თემატურ ბლოკიდან.

თემატური ჩარჩო საბაზო საფეხურის სასწავლო თემებისათვის აჩვენებს იმ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა შეძლოს მოსწავლემ უცხოური ენის გაგება-გამოყენება.

## **სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება**

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **II უცხ.საბ.1.:**

„**II უცხ**“ - მიუთითებს მეორე უცხოურ ენაზე;

„**საბ**“ - მიუთითებს საბაზო საფეხურზე;

„**1**“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერზე.

მეორე უცხოური ენის სტანდარტი		
შედეგის ინდექსი	მიმართულება: ტექსტის მოსმენა/წაკითხვა და გაგება (რეცეფცია)	ცნებები
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
II უცხ.საბ.1.	მოსმენამდე/კითხვამდე ტექსტის ტიპის განსაზღვრა მისი სტრუქტურული და სიტუაციური მახასიათებლების ამოცნობის გზით;	ტექსტის ტიპი
II უცხ.საბ.2.	ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და მოსმენის/კითხვის სტრატეგიების გამოყენებით ტექსტის შინაარსის ეტაპობრივად კონსტრუირება;	სტრუქტურული ელემენტები
II უცხ.საბ.3.	ტექსტის შინაარსის დაკავშირება საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებასთან, მის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების განსაზღვრა;	საკომუნიკაციო სიტუცია
II უცხ.საბ.4.	ტექსტებში ასახული სოციოკულტურული თავისებურებების ამოცნობა და მათ მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;	კულტურათმორი სი დიალოგი
II უცხ.საბ.5.	ტექსტის გაგების პროცესში წარმოქმნილი დაბრკოლებების გაანალიზება, მათი გადალახვის გზების დასახვა (სწავლის პროცესის მართვა - მეტაკოგნიტური სტრატეგია).	სტრატეგიები
<b>მიმართულება: წერა და ლაპარაკი (პროდუცირება)</b>		ლექსიკა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	გრამატიკა
II უცხ.საბ.6.	ზეპირი საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესაბამისი სამეტყველო მოქმედებების შესრულება სათანადო სტრატეგიების გამოყენებით;	ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები
II უცხ.საბ.7.	ნასწავლი ენობრივი საშუალებებით საკომუნიკაციო მიზნის შესაბამისი წერილობითი ტექსტის პირველადი ვარიანტის შემუშავება;	
II უცხ.საბ.8.	პირველადი ვარიანტის ცალკეული აზრების, მთლიანი ტექსტის ენობრივი, შინაარსობრივი თუ სტრუქტურული გაუმჯობესება, საბოლოო ვარიანტის სათანადოდ გაფორმება;	
II უცხ.საბ.9.	წერამდე, წერის დროს და წერის შემდგომ ფაზებში შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება;	
II უცხ.საბ.10.	ზეპირი და წერითი კომუნიკაციისას წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზება, მათ გადასალახად სამოქმედო გეგმის შედგენა (სწავლის პროცესის მართვა - მეტაკოგნიტური სტრატეგია).	
<b>მიმართულება: საქმიანობა უცხოური ენის გამოყენებით</b>		
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
II უცხ.საბ.11.	კულტურათმორისი დიალოგის ხელშემწყობი აქტივობების რეალიზება, სოციოკულტურული თავისებურებების გაზიარება;	
II უცხ.საბ.12.	ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გამოყენებით იდეების განხორციელება.	

## ცნებები და საკითხები

### ტექსტის ტიპები

- სასწავლო მიზნით შექმნილი (დიდაქტიზებული) ტექსტები (მაგ., თემატური დიალოგი/მონოლოგი, აღწერითი/თხრობითი ტექსტი);
- პრაგმატული ტექსტები (მაგ., განრიგი/პროგრამა, გზის მარშრუტი, რეკლამა, აფიშა);
- კორესპონდენცია (მაგ., ღია ბარათი, მეგობრული წერილი, შეტყობინება/SMS/CHAT);
- საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტები (მაგ., ცნობარი, ანოტაცია, ინტერვიუ, ბუკლეტი, პირადი გამოხმაურება, საყმაწვილო ენციკლოპედიის სტატია);
- გასართობ-შემოქმედებითი ტექსტები (მაგ., სიმღერა, ლექსი, სკეტჩი, რიტმული ტექსტი, რეპი, კარიკატურა, კლიპი).

### ტექსტის სტრუქტურული ელემენტები (მაგ., სათაური, რუბრიკა, ილუსტრაცია, სქემა, აბზაცი)

**აბზაცი** - სტრუქტურა: თემატური წინადადება, დამხმარე წინადადებები (დამატებითი ინფორმაციის შემცველი მაგალითი, დეტალი, მონაცემი თემატურ წინადადებაში ასახული მთავარი იდეის შესახებ), დასკვნითი წინადადება;

**ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები/საკომუნიკაციო სიტუაცია** (მაგ., კომუნიკაციის ადგილი, მიზანი, მონაწილეები, ადრესატი, ავტორი);

**სოციოკულტურული თავისებურება** (მაგ., რეალიები, ფასეულობები, ზნე-ჩვეულებები, კულტურული ნორმები);

**კულტურათმორისი დიალოგი;**

### სწავლის სტრატეგიები:

- **მოსმენის სტრატეგიები** მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);
- **კითხვის სტრატეგიები** კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);
- **ლაპარაკის სტრატეგიები** ზეპირ კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;
- **წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);
- **ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები;**
- **სწავლის პროცესის მართვა** (მეტაკოგნიტური სტრატეგიები);

**ლექსიკა** - ანტონიმი, სინონიმი, ომონიმი, ფრაზეოლოგიზმი/მყარი შესიტყვება;

**გრამატიკა** - ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი.

ლექსიკურ-გრამატიკული ცოდნა კომუნიკაციური მიზნების განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს. შესაბამისად, ლექსიკა და გრამატიკული საკითხები ცალკეული სასწავლო თემის საკომუნიკაციო მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრება.



## ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები

ქვემოთ წარმოდგენილია იმ ფუნქციური სამეტყველო მოქმედებების ჩამონათვალი, რომელთა შესრულებაც უნდა შეძლოს მოსწავლემ სხვადასხვა კონტექსტსა თუ სიტუაციაში კომუნიკაციისას. სტანდარტი გამოყოფს მიკრო-ფუნქციებს და მაკრო-ფუნქციებს.

### მიკრო-ფუნქციები:

- **ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში:** მისალმება; ვინმეს/საკუთარი თავის წარდგენა; ვინმეს მიღება; მილოცვა; კეთილი სურვილის გამოხატვა; გამომშვიდობება; ტელეფონზე ინტერაქცია (ზარზე პასუხი, თანამოსაუბრის ვინაობის დადგენა, მობოდიშება, დალოდების თხოვნა, საუბრის დასრულება); მადლობის გადახდა;
- **ინტერაქცია ინფორმაციის შესახებ:** სახელდება, მითითება, აღნიშვნა; ინფორმაციის მოთხოვნა/გაცემა: რაიმე საგნის/პიროვნების შესახებ (რა არის, ვინ არის); დროის შესახებ (დროის მონაკვეთების აღნიშვნა; დროში - აწმყოში, წარსულსა თუ მომავალში - ლოკალიზება; დასაწყისის, დასასრულის აღნიშვნა; განმეორებადობის, ხანგრძლივობის, სიხშირის აღნიშვნა); სივრცის შესახებ (ადგილის/ადგილმდებარეობის აღნიშვნა; მანძილის დაზუსტება; მოძრაობის, მიმართულების/ორიენტაციის აღნიშვნა); ვითარების შესახებ; რაოდენობისა და ხარისხის შესახებ; მიზეზის შესახებ; ფაქტის დადასტურება/უარყოფა; ინფორმაციის შესწორება;
- **ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულების შესახებ:** საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვა; მიმხრობა-გაზიარება; შეწინააღმდეგება, უარყოფა; გამოხატვა იმისა, რომ რაიმე იგი ან არ იგი, შეგიძლია/არ შეგიძლია; გამოხატვა იმისა, რომ რაიმე გახსოვს ან დაგავიწყდა; რაიმეს შეხსენება; საკუთარი სურვილების, განზრახვის გამოხატვა; ვალდებულების, აუცილებლობის გამოხატვა; შედარება: მსგავსების/განსხვავების, მეტობის/ნაკლებობის აღნიშვნა; მიზეზშედეგობრივი კავშირების, მიზნის გამოხატვა;
- **ინტერაქცია ემოციებსა და გრძნობებზე:** სიხარულის, სიამოვნების, ბედნიერების განცდის გამოხატვა; მოწყენილობის, სევდის გამოხატვა; დამშვიდება; შიშის, ფიზიკური ტკივილის გამოხატვა; მოწონების/არ მოწონების, აღფრთოვანების გამოხატვა; გამოხატვა იმისა, თუ რა გირჩევნია; კმაყოფილების/უკმაყოფილების გამოხატვა; რაიმეს მიმართ ინტერესის გამოხატვა; გაკვირვების/ინდიფერენტული დამოკიდებულების გამოხატვა;
- **ინტერაქცია ქმედებებსა და საქმიანობებზე:** ბრძანების ან ინსტრუქციის მიცემა; დახმარების თხოვნა; შეკვეთის მიცემა (მაგ., კაფეში, რესტორანში); თხოვნაზე დათანხმება; რჩევის მიცემა; გაფრთხილება; გამხნეება; ნებართვის თხოვნა/მიცემა; აკრძალვა;
- **სიტყვის, სათქმელის სტრუქტურირება** - გეგმის წარდგენა; თემის წამოწყება; თემის გაშლა აღწერის, თხრობის საშუალებით, მაგალითის მოხმობით; თემის შეჯამება/დასრულება;
- **ზეპირი ინტერაქციის სტრუქტურირება** - თანამოსაუბრესთან საუბრის დაწყება; საუბარში ჩართვა/სიტყვის თხოვნა; სიტყვის მნიშვნელობის დაზუსტება/პარაფრაზირება, გადამოწმება იმის, რომ თანამოსაუბრეს ჩვენი ესმის; კითხვის დასმით გადამოწმება, რომ მართებულად გვესმის თანამოსაუბრის; გაუგებრობის შემთხვევაში თანამოსაუბრისთვის თხოვნა, რომ უფრო ნელა ისაუბროს, დამარცვლოს, ნათქვამი გაიმეოროს/პარაფრაზირებით განმარტოს.

მაკრო-ფუნქციები - აღწერა, თხრობა.

**საბაზო საფეხურის თემატური ჩარჩო**

ქვემოთ მოცემული ჩარჩო აღწერს იმ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა შეძლოს მოსწავლემ უცხოური ენის გაგება-გამოყენება. შესაბამისად, საბაზო საფეხურის სამივე კლასის სასწავლო თემები მთლიანობაში უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტის თემატურ ჩარჩოს.

ინდივიდის აქტივობის სფეროები			
პარამეტრები	პირადი	საზოგადოებრივი	საგანმანათლებლო
ადგილი	კერძო სივრცეები (მაგ., სახლი, ბინა, ეზო)	საჯარო სივრცეები სოფელსა თუ ქალაქში (მაგ., უბანი, ქუჩა, მოედანი, სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტი, პარკი, კაფე, აეროპორტი, მაღაზია, ბიბლიოთეკა, სადგური)	სკოლის შენობა და მისი მიმდებარე ტერიტორია, კოლეჯი, ლიცეუმი, პროფესიული სასწავლებელი
ინსტიტუცია	ოჯახი	მერია, თემი, პოლიცია, სამაშველო სამსახური, საქველმოქმედო საზოგადოება	სკოლა და სასკოლო საზოგადოება, ზოგადი და პროფესიული განათლება
ადამიანი	ოჯახის წევრები, ნათესავები, წინაპრები, თანატოლები, მეგობრები, ნაცნობები	სხვადასხვა საქმიანობის და პროფესიის ადამიანები (მაგ., მეხანძრე, ექიმი, მზარეული, მწერალი, მოგზაური), მოქალაქე, მგზავრი, მაცურებელი, შემსრულებელი, გულშემატკივარი და სხვ.	სკოლის პერსონალი (მაგ., მასწავლებელი, დამრიგებელი, დირექტორი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი), მოსწავლე, მშობელი, თანაკლასელი
საგანი	ავეჯი, სამოსი, საყოფაცხოვრებო ნივთები, სპორტული აღჭურვილობა და სხვ.	ფული, საფულე, სურსათი, საქონელი, წამლები, ოფიციალური დოკუმენტები (მაგ., პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა)	სასკოლო აღჭურვილობა და ნივთები (მაგ., წიგნი, დაფა, ცარცი, კომპიუტერი, პროექტორი)
მოვლენა	ოჯახური დღესასწაულები, ავადმყოფობა, დღეობები, სტუმრობა, წვეულება, კულტურული და	ბუნებრივი მოვლენები, უბედური შემთხვევა, ბაზრობა, კონცერტი, სპექტაკლი, სამოქალაქო და რელიგიური ზეიმები და სხვ.	სასწავლო წლის დასაწყისი/დასასრული , კლასგარეშე ღონისძიებები, კონკურსები,



	სპორტული აქტივობები, არდადეგები და სხვ.		კონფლიქტები სკოლაში და სხვ.
მოქმედება	ყოველდღიური ყოფითი, შემოქმედებით-ინტელექტუალური, სპორტული, გასართობი საქმიანობები (მაგ., ჭამა, ჩაცმა, კითხვა, მეცადინეობა, კოლეჯიონერობა, ტელევიზორის ყურება)	ყოფითი, შემოქმედებით-ინტელექტუალური, სპორტული, გასართობი აქტივობები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (მაგ., საყიდლებზე სიარული, თეატრში წასვლა, სპორტულ შეჯიბრში მონაწილეობა), მგზავრობა, მოგზაურობა	სწავლა და სწავლება; კლასგარეშე შემოქმედებით-ინტელექტუალურ, სპორტულ და გასართობ აქტივობებში მონაწილეობა, მშობელთა კრება
ბუნება, ცხოველთა და მცენარეთა სამყარო	შინაური და გარეული ცხოველები, ყვავილები, ხეები, ტყე, მდინარე, ტბა, უდაბნო, ზღვა, მთა, მინდორი, კოსმოსი და სხვ.		

### სტანდარტის საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები:

საკვანძო შეკითხვები, რომლებიც სტანდარტის შინაარსს აკავშირებს სტანდარტის შედეგებთან და აჩვენებს, თუ რისთვის უნდა გამოიყენოს მოსწავლემ კონკრეტული ცოდნა, რელევანტურია ნებისმიერი სასწავლო თემისთვის.

- როგორ მოვიქცე, რომ შევძლო უცხოურენოვანი ტექსტების გაგება?
- როგორ მოვიქცე, რომ შევძლო საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო მოქმედებების შესრულება?
- როგორ მოვიქცე, რომ წარმატებით გავართვა თავი წერით საკომუნიკაციო ამოცანას?
- რატომ გამიჭირდა საკომუნიკაციო ამოცანის შესრულება? როგორ გადავლახო ეს სიძნელე? რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ?
- რით ჰგავს, რით განსხვავდება უცხოური ენა და კულტურა მშობლიურისაგან?
- როგორ შევუწყო ხელი კულტურათმორის დიალოგს?
- როგორ გამოვიყენო უცხოური ენის ცოდნა საქმიანი იდეების განსახორციელებლად?

### გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებას და შინაგანი ძალისხმევის გააქტიურებას.
- ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

- გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას.
- დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).
- ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

**გამჭოლი უნარები და ღირებულებები**

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგ გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პასუხისმგებლობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასკოლო და სხვა საქმიანობებში ნაკისრი ვალდებულების შესრულება;</li> <li>• სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება;</li> <li>• საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება.</li> </ul>
თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად;</li> <li>• განსხვავებული იდეების, შეხედულებების მოსმენა და კონსტრუქციულად განხილვა;</li> <li>• რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით;</li> <li>• ჯგუფის წევრებს შორის განაწილებული სამუშაოს შესრულება.</li> </ul>
დროსა და სივრცეში ორიენტირება	<ul style="list-style-type: none"> <li>• თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრება და ინტერპრეტირება;</li> <li>• მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით.</li> </ul>
ეთიკა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ეთიკური და ქცევითი ნორმების დაცვა;</li> <li>• სოლიდარობის განცდა;</li> <li>• სხვებისადმი ემპათია;</li> <li>• პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი;</li> <li>• განსხვავებულობის მიმდებლობა;</li> <li>• საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.</li> </ul>
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინფორმაციის/სასწავლო მასალის (დიდაქტიზებული, პრაგმატული, საინფორმაციო-შემეცნებითი, გასართობ-შემოქმედებითი ხასიათის ტექსტები) მოძიება ინტერნეტში სხვადასხვა საძიებო სისტემის მეშვეობით;</li> <li>• ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ტექსტების შესაქმნელად და პროექტების განხორციელებლად (სხვადასხვა ხასიათის ღია ბარათის/მეგობრული წერილის/შეტყობინების ელექტრონული ვერსიის მიწერა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, უცხოელ თანატოლებთან ჩეთში მონაწილეობა skype-ის, messenger-ის მეშვეობით; ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და უცხოურ ენაზე განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, მაგ., კულინარიული რეცეპტების კრებულის, სკოლის მოსწავლეთა ნახატების/ნაკეთობების კატალოგის სკოლის ვებგვერდზე/ ბლოგზე განთავსება); ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.</li> </ul>
კვლევა	<ul style="list-style-type: none"> <li>• კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა;</li> <li>• კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება;</li> <li>• მონაცემების ანალიზი; კვლევის შედეგების შეფასება;</li> <li>• კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.</li> </ul>

შემოქმედებითი აზროვნება	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება;</li> <li>• ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა;</li> <li>• დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება;</li> <li>• სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ.</li> </ul>
-------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

**მეთოდოლოგიური მიდგომები**

**უცხოური ენის სწავლა-სწავლება შემდეგ მეთოდოლოგიურ მიდგომებს უნდა ითვალისწინებდეს:**

- უცხოური ენის სტანდარტის მოთხოვნათა შესრულება მოითხოვს უცხოურ ენაზე კომუნიკაციური უნარების ფუნქციურად გამოყენების უნარების განვითარებას. ამ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ეგრეთწოდებული „უკუსვლით დაგეგმვის“ (backward design) მეთოდის გამოყენება: პირველ რიგში, უნდა ვხედავდეთ, კონკრეტული თემატური ერთეულის ბოლოს რა კომპლექსურ-ფუნქციური დავალებების/საქმიანობის შესრულება უნდა შეძლოს მოსწავლემ. შემდეგ, ეს დავალება უნდა დავშალოთ ცოდნისა და უნარების ცალკეულ კომპონენტებად, რომელთა ათვისებაც დასჭირდება მოსწავლეს იმისთვის, რომ ბოლოს შეძლოს კომპლექსური დავალების შესრულება, რომლის დროსაც მოუწევს ფუნქციური გამონათქვამების, ლექსიკური, გრამატიკული, კომუნიკაციური ცოდნისა და უნარების ერთდროულად და ინტერაქტიულად გამოყენება.
- ლექსიკური მასალა თუ გრამატიკული საკითხები თვითმიზნურად არ უნდა ისწავლებოდეს. მათი სწავლება გადაჯაჭვული უნდა იყოს კომუნიკაციურ მიზნებთან. მოსწავლეს ის ლექსიკურ-გრამატიკული უნარები უნდა გამოვუმუშაოთ, რომლებსაც კონკრეტულ კომუნიკაციურ სიტუაციებში გამოიყენებს.
- მოსწავლე უნდა იყოს სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური მონაწილე. ამის უზრუნველსაყოფად მოსწავლე ჩართული უნდა იყოს განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ხელს შეუწყობს ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვაში.
- სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია მეტაკოგნიციის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:
 

**სტრატეგიების მოდელირება:** მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა, მაგ., სურათები? ამიტომ, სანამ ტექსტს წავიკითხავთ, ხომ არ სჯობს, ჯერ სურათებს გავეცნოთ და ვნახოთ, რა ინფორმაციის შემცველია ეს სურათები? და მისთ).

**წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე** - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

**შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე** - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა

გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

- სასურველია, ყოველი ახალი თემატური ერთეულის სწავლება იწყებოდეს შინაარსიანი კონტექსტების შეთავაზებით, სახელდობრ, იმგვარი ტექსტების მოსმენით, რომლებიც მარტივ საკომუნიკაციო სიტუაციას წარმოადგენს. სწორედ ამ ტექსტების კონტექსტში უნდა გაეცნოს მოსწავლე იმ ახალ ენობრივ მასალას (ლექსიკურ ერთეულებს, გრამატიკულ ფორმებსა თუ მექანიზმებს), რომლებსაც მომდევნო ეტაპზე ცალკეული სავარჯიშოების საშუალებით აითვისებს იმ მიზნით, რომ შემდგომ ზეპირმეტყველებასა და წერით მეტყველებაში გამოიყენოს.

### წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

წლიური პროგრამა სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება და გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდაციის სახით შეთავაზებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით (შედეგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

### სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

<p><b>სასწავლო თემა</b></p> <p>სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>
<p><b>ცნებები, ტექსტები, საკითხები</b></p> <p>ტექსტებისა და საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.</p>
<p><b>საკვანძო შეკითხვები</b></p> <p>თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;</li> <li>• სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;</li> <li>• თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.</li> </ul>
<p><b>აქტივობები</b></p> <p>მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.</p>

**კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი**

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

**შეფასების ინდიკატორები**

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

**მკვიდრი წარმოდგენები**

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

**როგორ აიგება სასწავლო თემა?**

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. სტანდარტის ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება საკვანძო შეკითხვები და შეფასების ინდიკატორები, შეირჩევა ტექსტები, შემუშავდება იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის. ამის შემდეგ განისაზღვრება საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები. თითოეულ თემაზე მუშაობის პროცესი მოემსახურება ზოგადი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. უცხოურ ენაში მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის მოთხოვნებზე დაყრდნობით და საერთოა სასწავლო წლის თემებისათვის.

ქვემოთ თემის ასაგებად გადასადგმელი ნაბიჯები წარმოდგენილია სქემატურად, ცხრილის სახით.

**ცხრილი. სასწავლო თემის აგების პროცესი**

ნაბიჯი 1. თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა
ნაბიჯი 2. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა
ნაბიჯი 3. თემის ტექსტების/რესურსების შერჩევა
ნაბიჯი 4. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების იდეების შემუშავება
ნაბიჯი 5. საკითხების განსაზღვრა



ნაბიჯი 6. მიმდინარე აქტივობებისა და დავალებების განსაზღვრა-დაგეგმვა
ნაბიჯი 7. მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა

**თემის სწავლა-სწავლების პროცესის ტაბულა**

ქვემოთ მოცემულია პროცესის ტაბულა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა წარიმართოს, ერთი თემატური ერთეულის ფარგლებში, მოსწავლის აქტივობასა და სწავლის პროცესზე ორიენტირებული სწავლა-სწავლება. სწავლის პროცესზე ორიენტირება მოსწავლეს ეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, რაც ხელს უწყობს მას მიღწევების გაუმჯობესებაში.

<b>თემა:</b>
<b>მოსმენა- აგების პროცესი</b>
საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე ტექსტის შინაარსის გასაგებად? რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური უნარები?
<b>ტექსტი/ტექსტები:</b>
<b>ბიჯები და სწავლა-სწავლების სტრატეგიები</b>
<b>ფაზა: მოსმენამდე</b>
საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვემზადო ტექსტის მოსასმენად?
<b>მოსმენის წინარე სტრატეგიები:</b>
<p><b>ბიჯი 1.</b> დავალების ნათლად გააზრება და დაზუსტება პირობის გაანალიზების გზით; საჭიროებისამებრ, დამატებითი დაზუსტებების მოთხოვნა;</p> <p><b>ბიჯი 2.</b> სხვადასხვა ხერხით შინაარსის წინასწარ განჭვრეტა (მაგ., ვარაუდის გამოთქმა ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით);</p> <p><b>ბიჯი 3.</b> ტექსტის გასააზრებლად საჭირო წინარე ცოდნის (ენობრივი, ტექსტობრივი, თემასთან დაკავშირებული) გახსენება-გააქტიურება; საჭიროებისამებრ (ტექსტის სირთულის მიხედვით), რამდენიმე აუცილებელი საკვანძო სიტყვის/მყარი შესიტყვების დამუშავება.</p>
<b>ფაზა: მოსმენის დროს</b>
საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე, რომ უკეთ გავიგო ტექსტი? როგორ გავიადვილო ტექსტის გაგება?
<b>მოსმენის სტრატეგიები:</b>
<b>ბიჯი 4.</b> პირველი მოსმენა - ტექსტის ზოგადი შინაარსის გასაგებად გაცნობითი მოსმენა:

- ყურადღების გამახვილება მხოლოდ ნაცნობ სიტყვებსა და გამოთქმებზე, არავერბალურ ელემენტებზე (მაგ., მიმიკა-ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი, ილუსტრაცია);

**ბიჯი 5.** სხვადასხვა ტიპის აქტივობების გამოყენებით ტექსტის მრავალჯერადი მოსმენა მთლიანი შინაარსის ეტაპობრივი კონსტრუირებისათვის:

**მოსმენის სტრატეგიები:**

- ჩანიშვნების გაკეთება;
- ინფორმაციის დაჯგუფება, ორგანიზება სხვადასხვა გრაფიკის, სქემის გამოყენებით;
- გაუგებარი მონაკვეთის თავიდან მოსმენა;
- უცნობი სიტყვების მნიშვნელობის გამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით;
- სელექციური მოსმენა - ყურადღების მიზანმიმართულად გამახვილება კონკრეტულ ინფორმაციაზე.

**ფაზა: მოსმენის შემდეგ**

**საკვანძო შეკითხვები:** როგორ გავიგე ტექსტი? რით უკავშირდება ჩემს გამოცდილებას?

რამ შემაფარბა გაგების პროცესში? რატომ გამიჭირდა ტექსტის გაგება? როგორ უნდა გადამეჭრა ეს პრობლემა? რამ შემიწყო ხელი მოსასმენი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში?

**ბიჯი 6.** გაგებულის გადამოწმება, შეკითხვების, რეფორმულირებებისა და კომენტარების დახმარებით; ინფორმაციის დაზუსტება, მართებულ ვარიანტამდე მისვლა;

**ბიჯი 7.** მოსმენილის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან; განცდილის, ნააზრევის გაზიარება (ენის ფლობის დაბალ საფეხურზე - მშობლიურ ენაზე);

**ბიჯი 8.** მეტაკოგნიტური პაუზა: დაფიქრება ტექსტის გაგებისათვის გამოყენებულ მიდგომებზე (მეტაკოგნიცია);

- დაფიქრება გამოყენებულ სტრატეგიებზე, მათი ეფექტიანობის შეფასება, შედარება სხვების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებთან;
- გაგების პროცესის გაუმჯობესებისათვის შესაძლო გზების შეთავაზება/მითითება.

**როგორ მოვიქცე ენობრივი მასალის ასათვისებლად? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ?**

**ფაზა: გადასვლა რეცეფციიდან პროდუცირებისაკენ**

**ბიჯი 9.** ტექსტზე დაფუძნებით ენობრივი (ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული) უნარების განვითარება, ახალი ენობრივი მასალის (ლექსიკა, გრამატიკული ფორმები, შესიტყვებები, სამეტყველო ფუნქციები) ათვისება სხვადასხვა ენობრივი აქტივობით;

**სწავლის სტრატეგიები:**

- **ინდუქციური მიდგომა** - კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანა;
- **დედუქციური მიდგომა** - ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობა, განზოგადება და გამოყენება კონკრეტულ მაგალითებში;
- **პარალელების გავლება მშობლიურ ან სხვა ენასთან** - ნიშანდობლივი ენათშორისი შედარებების გაკეთება შესასწავლი ენის სისტემისა და ფუნქციონირების გაგების ხელშესაწყობად;
- **დამახსოვრების ხერხების გამოყენება** - მაგ., რამდენჯერმე გადაწერა ან ხმამაღლა გამეორება, დაჯგუფება, კონტექსტში ჩასმა/გამოყენება, ასოცირება, ჩანიშვნების გაკეთება და სხვ.

**ლაპარაკი**

საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე, რომ წარმატებით გავართვა თავი ზეპირ საკომუნიკაციო ამოცანას? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური სტრატეგიები?

**ბიჯები და სწავლის სტრატეგიები**

**ფაზა:** ზეპირი კომუნიკაციისთვის მომზადება

საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვემზადო ზეპირი კომუნიკაციისთვის?

**ბიჯი 1.** დავალების მოთხოვნათა ნათლად გააზრება, საჭიროებისამებრ, დამატებითი დაზუსტებების მოთხოვნა;

**ბიჯი 2.** საკომუნიკაციო სიტუაციის ელემენტების დაზუსტება (თემა, მიზანი, ადრესატი/აუდიტორია, კონტექსტი, ტექსტის ტიპი);

**ბიჯი 3.** მომზადება აუდიტორიის წინაშე გამოსასვლელად;

**სწავლის სტრატეგიები**

- **ცოდნის მობილიზება** - საჭირო ენობრივი რესურსების (შესიტყვებების, კლიშეების, საკვანძო სიტყვების, სამეტყველო მოქმედებები, გრამატიკული ფორმების) გახსენება და/ან მოძიება და ჩანიშვნა; საჭიროებისამებრ, დამატებითი ინფორმაციის მოძიება-ჩანიშვნა;
- **გეგმის მომზადება** (პრეზენტაციის შემთხვევაში - საპრეზენტაციო მასალის);
- **რეპეტიციის გავლა** - წარმოთქმის, ინტონაციის, თავისუფლად მეტყველების უნარის გასავარჯიშებლად, ლელვის შესამცირებლად; ვარჯიშისას ხმის, არავერბალური ელემენტების - სახის გამომეტყველების, ქესტიკულაციის გაკონტროლება.

**ფაზა:** ზეპირი კომუნიკაციისას

საკვანძო შეკითხვა: რომელი სტრატეგიები გამოვიყენო ზეპირი კომუნიკაციის ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად?



<p><b>ბიჯი 4.</b> გამოსვლა აუდიტორიის წინაშე;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>სტრატეგია - პარაფრაზირება</b> - საუბრის დროს სიტყვის დავიწყების/არცოდნის შემთხვევაში საკომპენსაციო საშუალებების (მაგ., <i>ქესტიკულაციით მითითება, ნაგულისხმევი საგნის აღწერა ან მისი დანიშნულების აღნიშვნა</i>) გამოყენება.</li> </ul>
<p><b>ფაზა:</b> ზეპირი კომუნიკაციის შემდეგ</p> <p>საკვანძო შეკითხვები: რატომ ვერ გადავჭერი წარმატებით საკომუნიკაციო ამოცანა? რომელი სტრატეგიები გამოვიყენე? რამ შემაფერხა? როგორ გავაუმჯობესო ზეპირი მეტყველების უნარი? რამ შემიწყო წინსვლაში ხელი?</p>
<p><b>ბიჯი 5.</b> საკუთარი გამოსვლის შეფასება - წარმატებული ასპექტებისა და ხარვეზების ამოცნობა;</p> <p><b>ბიჯი 6.</b> მეტაკოგნიტური პაუზა: დაფიქრება გამოყენებულ სტრატეგიებზე, გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის შედგენა.</p>

<b>კითხვა</b>
<p>საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე ტექსტის ტიპის ამოსაცნობად და ტექსტის შინაარსის გასაგებად? რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური სტრატეგიები?</p>
<b>ბიჯები და სტრატეგიები</b>
<p><b>ფაზა:</b> კითხვამდე</p> <p>საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვემზადო ტექსტის წასაკითხად?</p>
<p><b>ბიჯი 1.</b> დავალების მოთხოვნათა ნათლად გააზრება და დაზუსტება პირობის გაანალიზების გზით; საჭიროებისამებრ, დამატებითი დაზუსტებების მოთხოვნა;</p> <p><b>ბიჯი 2.</b> მომზადება ტექსტის გაგების პროცესის ხელშესაწყობად;</p> <p><b>კითხვის წინარე სტრატეგიები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სხვადასხვა ხერხით შინაარსის წინასწარ განჭვრეტა (მაგ., ვარაუდის გამოთქმა ილუსტრაციებზე, სათაურზე, ტექსტის სტრუქტურაზე დაყრდნობით);</li> <li>• ტექსტის გასააზრებლად საჭირო წინარე ცოდნის (ენობრივი, ტექსტობრივი, თემასთან დაკავშირებული) გახსენება-გააქტიურება;</li> <li>• თუ ტექსტი მოსწავლეთა ენის ცოდნის დონესთან შედარებით რთულია, ტექსტის გაგებისათვის საჭირო საკვანძო სიტყვების/შესიტყვებების ენობრივი ფორმების დამუშავება.</li> </ul>
<p><b>ფაზა:</b> კითხვის დროს (შინაარსის კონსტრუირების პროცესი)</p> <p>საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე, რომ უკეთ გავიგო ტექსტი? როგორ გავიაღვილო ტექსტის გაგება?</p>

**ბიჯი 3.** პირველი წაკითხვა ტექსტის ზოგადი შინაარსის გასაგებად გაცნობითი კითხვის სტრატეგიის გამოყენებით;

**სწავლის სტრატეგიები:**

- ყურადღების მიმართვა ტექსტის სტრუქტურაზე, მის მორგანიზებელ სიტყვიერ და არასიტყვიერ ელემენტებზე; სათაურის/ქვესათაურების, წარწერების, გამოყოფილი სიტყვების, აბზაცების პირველი და/ან ბოლო წინადადების წაკითხვით და მათზე დაყრდნობით შინაარსზე წარმოდგენის შექმნა.

**ბიჯი 4.** სხვადასხვა აქტივობის გამოყენებით ტექსტის მრავალგვარად დამუშავება მისი შინაარსის ეტაპობრივი კონსტრუირებისათვის;

**შესწავლითი კითხვის სტრატეგიები:**

- ტექსტის მთლიანად ჩაკითხვა უცნობ სიტყვებზე შეჩერების გარეშე;
- გაუგებარ მონაკვეთებთან მიბრუნება;
- მონაკვეთების, ეპიზოდების წარმოდგენაში გაცოცხლება;
- გამოცნობა - უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობის ამოცნობა ნაცნობი ელემენტების (ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, კონტექსტის, მშობლიურ ენაში დამკვიდრებული უცხოური სიტყვების და სხვ.) დახმარებით.
- უცნობი სიტყვების ამოწერა და ლექსიკონში ნახვა;
- შეკითხვების დასმა;
- ტექსტის მომდევნო მონაკვეთის შინაარსის განჭვრეტა;
- ინფორმაციის დაჯგუფება სხვადასხვა ხერხის (სემანტიკური რუკის, სქემატური ჩანაწერების, მორგანიზებელი გრაფიკის) გამოყენებით;
- ტექსტის მონაკვეთის, აბზაცის შეჯამება.

**ფაზა:** კითხვის შემდეგ

**საკვანძო შეკითხვები:** როგორ გავიგე ტექსტი? რით უკავშირდება ჩემს გამოცდილებას?

რამ შემაფარბა გაგების პროცესში? რატომ ვერ გადავჭერი საკითხავი ამოცანა? როგორ უნდა გადავჭრა ეს პრობლემა? რამ შემიწყო ხელი საკითხავი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში?

**ბიჯი 5.** გაგებულის გადამოწმება შეკითხვების, რეფორმულირებების და კომენტარების დახმარებით; ინფორმაციის დაზუსტება, მართებულ ვარიანტამდე მისვლა;

**ბიჯი 6.** წაკითხულის დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ თუ წიგნიერ გამოცდილებასთან; განცდილის, ნაზრევის გაზიარება (ენის ფლობის დაბალ საფეხურზე - მშობლიურ ენაზე);

**ბიჯი 7.** მეტაკოგნიტური პაუზა: დაფიქრება ტექსტის გაგებისათვის გამოყენებულ სტრატეგიებზე, მეტაკოგნიტური პაუზა:

- დაფიქრება გამოყენებულ სტრატეგიებზე, მათი ეფექტიანობის შეფასება, შედარება სხვების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებთან;
- სწავლის პროცესზე დაფიქრება-რეფლექსია, შემაფერხებელი და ხელშემწყობი პირობების გაცნობიერება;
- გაგების პროცესის გაუმჯობესებისათვის შესაძლო გზების შეთავაზება/მითითება.

როგორ მოვიქცე ენობრივ-გრამატიკული მასალის ასათვისებლად? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ?
ფაზა: გადასვლა რეცეფციიდან პროდუცირებისაკენ
<p><b>ბიჯი 8. გარდამავალი ბიჯი წერისაკენ</b> - ტექსტის ახალი ენობრივი მასალის (ლექსიკა, გრამატიკული ფორმები, შესიტყვებები, სამეტყველო მოქმედებები და სხვ.) გაგება-გამოყენება სხვადასხვა ტიპის ენობრივი სავარჯიშოებით;</p> <p><b>სწავლის სტრატეგიები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება - რამდენჯერმე გადაწერა, პერიოდული გამეორება, დაჯგუფება, კონტექსტში ჩასმა, რაიმესთან ასოცირება და სხვ.</li> <li>• პარალელების გავლება მშობლიურ ან სხვა ენასთან - ნიშანდობლივი ენათშორისი შედარებების გაკეთება შესასწავლი ენის სისტემისა და ფუნქციონირების გაგების ხელშესაწყობად;</li> <li>• დედუქცია - ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობა, განზოგადება და გამოყენება კონკრეტულ მაგალითებში;</li> <li>• ინდუქცია - კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანა;</li> <li>• დამხმარე რესურსების შექმნა-გამოყენება (მაგ., გრამატიკული ცნობარი, სტრუქტურული მოდელები).</li> </ul>

<b>წერა</b>
საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე იმისთვის, რომ შევძლო წერილობითი ტექსტის შექმნა? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური სტრატეგიები?
<b>ბიჯები და სტრატეგიები</b>
ფაზა: წერის წინა სამზადისი
საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვემზადო წერითი ამოცანის გადასაჭრელად?
<p><b>ბიჯი 1. წერის ჩანაფიქრის გამოკვეთა;</b></p> <p><b>წერის წინარე სტრატეგიები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკომუნიკაციო სიტუაციის განსაზღვრა - წერის მიზნისა და ადრესატის განსაზღვრა; თემისა და ტექსტის სახეობის შერჩევა;</li> <li>• იდეების გენერირება - იდეების მოფიქრება-ჩამოყრა;</li> <li>• ცოდნის მობილიზება/თავმოყრა - საჭირო ცოდნის (ენობრივი, ტექსტობრივი, თემასთან დაკავშირებული და სხვ.) გონებაში მოძიება-გააქტიურება; საჭიროებისამებრ, დამატებითი ინფორმაციის მოძიება სათანადო რესურსებში;</li> <li>• იდეების დაჯგუფება - იდეების დახარისხება, ურთიერთდაკავშირება მათგან მიზნობრივი სქემების გამოყენებით;</li> <li>• დამხმარე რესურსების მობილიზება - სტრუქტურული მოდელი, საკვანძო სიტყვები, გრამატიკული ცნობარი, დახარისხებული ლექსიკური ერთეულები, ჩანიშვნები);</li> </ul>

<p><b>ბიჯი 2.</b> გეგმის შედგენა დაჯგუფებულ იდეებზე დაყრდნობით.</p>
<p><b>ფაზა: წერის დროს</b></p> <p>საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვიქცე წერითი ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად?</p>
<p><b>ბიჯი 3.</b> პირველადი ვარიანტის შედგენა გეგმაზე დაყრდნობით;</p>
<p><b>ფაზა: წერის შემდეგ</b></p> <p>საკვანძო შეკითხვები: რატომ ვერ გადავჭერი წარმატებით წერითი ამოცანა? რომელი სტრატეგიები გამოვიყენე? რამ შემაფერხა? რამ შემიწყო ხელი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში? როგორ გავიმჯობესო წერითი მეტყველების უნარი?</p>
<p><b>ბიჯი 4.</b> პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება;</p> <p><b>სწავლის სტრატეგიები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნაწერის პოტენციური მკითხველის თვალთახედვით შეფასება;</li> <li>• შინაარსობრივი, სტრუქტურული შესწორებების შეტანა;</li> <li>• გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომების გასწორება დამხმარე რესურსებისა და ისტ-ის გამოყენებით;</li> </ul> <p><b>ბიჯი 5.</b> საბოლოო ვარიანტის შემუშავება და გაფორმება.</p>
<p><b>თემის შემაჯამებელი (კომპლექსური) დავალებები შესაბამისი შეფასების რუბრიკებით</b></p>

**დ) შეფასება**

საბაზო საფეხურის ნებისმიერ კლასში საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესი ადგილი უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მოსწავლეს თავისსავე წინარე შედეგებთან მიმართებით აფასებს, ზომავს მის ინდივიდუალურ წინსვლას, რითაც მას ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას აძლევს.

**შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება**

შემაჯამებელი შეფასებისათვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად კრიტერიუმების ბაღე გამოიყენება.

**ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის**

სტანდარტში შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს.

- შემეცნებითი ხასიათის კონკრეტული საკითხის გამოკვლევა (მაგ., „რა ვიციტ წყლის შესახებ“, „ჩვენი უცხოელი თანატოლების სასკოლო ცხოვრება“) და ძიების შედეგების წარმოდგენა სასურველი ფორმატით (მაგ., პრეზენტაცია, პოსტერი, ბროშურა);
- მინი სოციალური კვლევა ყმაწვილებისათვის საინტერესო საკითხზე (მაგ., „რა მუსიკას უსმენენ ჩვენი თანატოლები“, „რა გადაცემებს ვუყურებთ უმეტესწილად“) - კითხვარის შედგენა, გამოკითხვის ჩატარება, მონაცემების გაანალიზება და ზეპირი ან წერილობითი ანგარიშის წარდგენა;
- კორესპონდენციაში მონაწილეობა (წერილების მიწერა რეალური ან წარმოსახვითი უცხოელი თანატოლისთვის, ანონონიმური საკლასო მიმოწერა განვლილ თემატიკასთან დაკავშირებულ საკითხზე, რომელშიც ადრესატები ცდილობენ ამოიციონ ავტორი.);
- ინტერვიუება აქტუალურ საკითხზე (მაგ., „როგორია შენი ოცნების სკოლა“, „უნდა გვყავდეს თუ არა შინაური ცხოველები?“) - კითხვების მომზადება, ინტერვიუების აღება/მიცემა და შედეგების წარდგენა;
- კულტურათა დიალოგის ხელშემწყობი პროექტის/აქტივობის განხორციელება (მაგ., ორენოვანი ტურისტული ვებგვერდის/ბუკლეტის, უცხო ქვეყნის დღესასწაულთა კალენდრის შექმნა, თეატრალური წარმოდგენა და სხვ.);
- შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა და წარდგენა (მაგ., სკეტჩი, რეპი, კლიპი, ვიდეორგოლი, რეკლამა, თანატოლთა ნაკეთობების კატალოგი და სხვ.);
- ტექსტის სხვა ფორმატში „გადაწერა“ (მაგ., ბიოგრაფიის საფუძველზე ბიოგრაფიული ცნობარის შედგენა, დღის წესრიგის საფუძველზე - დღიურის და სხვ.).

**მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება:**

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკა, შეფასების ინდიკატორების გარდა, უნდა ეფუძნებოდეს მეთოდოლოგიურ ნაწილში წარმოდგენილ გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

**კონკრეტული რუბრიკის ნიმუში  
შემაჯამებელი დავალება ზეპირმეტყველებაში**

**დავალების პირობა:** მოცემულ სურათზე დაყრდნობით შეადგინე და მოყევი ამბავი - რა ხდებოდა სურათის გადაღებამდე ორი-სამი საათით ადრე და რა მოხდა შემდეგ. დააზუსტე პერსონაჟთა ვინაობა, დაახასიათე ისინი, გადმოეცი ამბები, მიუთითე მოქმედებათა თანამიმდევრობა, დრო და ადგილი. საუბრის მინიმალური დრო - 2 წუთი

კრიტერიუმების ბადე ზემოთ მოცემული შემაჯამებელი ზეპირი დავალებისათვის	ქულები	კომენტარი
პირობასთან შესაბამისობა		
იცავს დროის ლიმიტს	0 - 1	



იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს	0 - 1	
<b>კომუნიკაციური უნარ-ჩვევები</b>		
თანამიმდევრულად აღწერს/გადმოსცემს მოქმედებებს	0 -0,5- 1	
განსაზღვრავს მოქმედების დროსა და სივრცეს	0 – 0,5 -1	
<b>ენობრივი უნარ-ჩვევები</b>		
იყენებს ნასწავლი დროის გამომხატველ გრამატიკულ კონსტრუქციებსა და ენობრივ ფორმებს	0-1-2	
ადეკვატურად იყენებს ზმნის წარსული დროის გამომხატველ ფორმებს	0 - 1	
იყენებს ნასწავლ ლექსიკას	0 - 1	
<b>შემოქმედებითი უნარ-ჩვევები</b>		
ავლენს ფანტაზიის უნარს, ორიგინალურობას	0 - 1	
იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით	0 - 1	
<i>ჯულათა მაქსიმალური რაოდენობა (10)</i>		

### ე) ტერმინოლოგიური ლექსიკონი

უცხოური ენების სტანდარტის სპეციფიკური ტერმინები:

- **მაკრო-ფუნქციები** არის კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრავენ წერილობითი ან ზეპირი დისკურსის (გამონათქვამთა ბმული თანამიმდევრობის) ფუნქციურ გამოყენებას.
- **მიკრო-ფუნქციები** არის კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკეული გამონათქვამების ფუნქციურ გამოყენებას.
